საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 20 მარტი, 2013 წელი.

№51 (7178)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

რა მიზანს ისახავს იმპიჩმენტი? 7



როგორია იმპიჩმენტის ქართული კონსტიტუციური მექანიზმი?

კონტაქტები რუსეთთან... მიმოწერა ევროპასთან... „ნალის ამოღება“ კონსტიტუციიდან... 3

დღემდე რატომ აჩუმათებს საპარლამენტო ასამბლეის 2009 წლის რეზოლუციას? 4

ოჭრუაშვილის რეაბილიტაციის მცდელობა ალასანიას ხარჯზე 5

ვის ერგება „დოქსოპულის მედალი?“ 6

საკაშვილისთვის უფლებამოსილებათა ჩამორთმევა 22 მარტისთვის დანიშნეს

„ქართული ოცნება“ მიდის რისკზე, როდესაც კენჭისყრაზე აყენებს კონსტიტუციაში ანტი-საპრეზიდენტო ცვლილებებს 8

როცა დუმილი მართლაც არ არის ოქრო! 4

პატიებას ვთხოვ ვალერი ასათიანს ამდენი წლის შემდეგ

სტრასბურგის სასამართლო წალეკა საქართველოდან შესულმა საჩივრებმა, მაგრამ არც ერთი მოსამართლე არ დასჯილა 9

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მთავარი თემა

ირაკლი ღარიბაშვილი:

სამოქალაქო დაპირისპირებამდე საქმეს არ მივიყვანთ!..

— არაადეკვატურმა, მატყუარა, ვადაგასულმა სააკაშვილმა მაინც რომ გაბედოს „ოცნების“ მთავრობის დათხოვნა და ამას სამოქალაქო დაპირისპირება მოჰყვეს, 44-ათასიანი ქართული პოლიცია მარტოოდენ საზოგადოებრივ წესრიგს დაიცავს თუ... 1 ოქტომბრის არჩევნებში დამაჯერებლად გამარჯვებული ხალხის მხარეზე დადგება? — ვკითხე გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს სამინისტროში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე.

— ქართული პოლიცია, საქართველოს მთავრობა და „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას ისე აკონტროლებს, რომ სამოქალაქო დაპირისპირება თითქმის გამორიცხულია... მიხეილ სააკაშვილი და მისი ოპოზიციური პარტიის წევრებიც ერთმნიშვნელოვნად გვარწმუნებენ, რომ პრეზიდენტი ამ „უფლების“ გამოყენებას არ აპირებს, მე პირიქით გეტყვით: **„არ აპირებს“** კი არა, **ვერ გაბედავს,** ამ ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯის გადადგმას **ვერ გაბედავს!** საქართველოს მოსახლეობას მინდა ვთხოვო, რომ მშვიდად იყოს და ნაციონალების ბაქიბუქს ყური არ ათხოვოს. ქვეყანაში სიმშვიდეს არავის დავარღვევინებთ, — მიპასუხა მინისტრმა.

ნაცების ხერხემლის ვანო მერაბიშვილის ბოლოდროინდელი გამონათქვამები პოლიციაში საერთო დაბნეულობის შესახებ, სხვა ჟურნალისტებმა შეახსენეს მინისტრს. ქვეყნის პირველმა პოლიციელმა ამ შეკითხვასაც შესანატრი პრინციპულობით უპასუხა:

„ვანო მერაბიშვილი ამ ბოლო დროს საერთოდ არაადეკვატური გახდა და ძალიან სასაცილო განცხადებებს აკეთებს. მერაბიშვილი, რატომღაც, ძალიან ნერვიულობს... ჩემთვის გასაგებია ის ნერვული სტრესი, რომელიც მან მიიღო არჩევნების წაგების შემდეგ, როცა დაკითხვაზე გვყავდა სამინისტროში დაბარებული... სხვათა შორის, ძალიან შეშინებული იყო. მე ის გულწრფელად მეცოდება. არავითარი დაბნეულობა პოლიციაში არ არის, ძალიან მკაფიო და გამჭვირვალე პოლიტიკას ვაწარმოებთ. დაბნეული თვითონ არის, როცა ასეთ განცხადებებს აკეთებს.

— დანაშაული გაიზარდაო, 2013 წლის განვლილ პერიოდში, შარშანდელთან შედარებით ასობით მეტი დანაშაული მოხდაო, — ნიშნისმოგებით გაკრიტიკებენ ნაციონალები.

— ციფრებს უაზროდ „ისვრიან“. მსგავსი არაფერი მომხდარა, ამნისტირებული 8 000 პატიმრიდან მხოლოდ 150-მდე ადამიანმა ჩაიდინა სხვადასხვა სახის დანაშაული და ციხეში შებრუნდა. ისინი მკაცრად დაისჯებიან. მარტის თვის ბოლოს სამი თვის მონაცემებს ზუსტად შევაჯამებთ და ყველაფერს ოფიციალურად გამოვაცხადებთ...

* * *

ნაციონალთა გენერალური მდივნის მიერ დაანონსებული 19 აპრილის მიტინგის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა:

„მე ვფიქრობ, ძალიან გაზვიადებულია წარმოდგენა 19 აპრილის ე.წ. აქციის თაობაზე. მე უბრალოდ არ მესმის, რისი მოლოდინი აქვთ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, ვინ ატარებს ამ აქციას, ჩვენ დავიცავთ წესრიგს, ისეთს, როგორიც არის მისაღები. თუ რაიმე პროვოკაციას ექნება ადგილი, ეს იქნება თავშივე აღკვეთილი და ყველა პროვოკატორი იქნება დასჯილი“...

ყოველთვის ვოცნებობდი, ისეთ ქვეყანაში მეცხოვრა, სადაც პატრული მინისტრებს დააჯარიმებდა და ამას მივაღწიეთ.

მისი თქმით, დღეს არიან ისეთი მინისტრები, რომლებიც უკვე დააჯარიმა პატრულმა.

მისივე თქმით, პატრულის თანამშრომლები უსამართლოდ არავის აჯარიმებენ და არ დასდევენ სხვა პოლიტიკური შეხედულებების ადამიანებს.

რაც შეეხება პატრულის მიერ ჯარიმების რაოდენობის გაზრდას, მინისტრი აცხადებს, რომ პატრულის თანამშრომლები ვალდებულები არიან, ყველა დარღვევასა და უკანონობაზე მოახდინონ რეაგირება.

„მიმაჩნია, რომ ეს არის აბსოლუტურად ნორმალური, ჩვენ სხვანაირად წესრიგს ვერ დავამყარებთ საზოგადოებაში. ქართველი ხალხი არის წესრიგის მოყვარული, მაგრამ ჩვენ უნდა ვაჩვენოთ მათ ჩარჩოები დ სწორი გზა“, — აღნიშნავს მინისტრი.

ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილმა პატრულის თანამშრომლებს კარგი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ ისინი უკანონოდ არავის აჯარიმებენ.

* * *

შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ცხინვალის რეგიონში მავთულხლართების კეთების პროცესი დაიწყო არა ორი კვირის, არამედ ერთი წლის წინათ.

„ამ თემის გარშემო აჟიოტაჟი ატეხეს. თქვეს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ფაქტს მალავს. მინდა მათ შევახსენო, რომ პროცესი ერთი წლის წინათ დაიწყო და ის ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს არ გამწვავებულა. ეყოთ ვაჟკაცობა, გნებავთ გამბედაობა და თქვან სიმართლე. ჩვენ ცხრა წლის განმავლობაში ვისმენდით მხოლოდ ტყუილს. ტყუილია, რომ თითქოს ჩვენ ამას ვმალავთ. პირიქით, ვმუშაობთ. პირადად შევხვდი ჟენევის მოლაპარაკების თანათავმჯდომარეებს. უშუალოდ ჩავაყენე საქმის კურსში. ბუნებრივია, მათ ეს იცოდნენ, რადგან პროცესი დაწყებულია ერთი წლის წინათ და არა ორი კვირის წინათ“.

* * *

სერვის 112-ის დაფინანსების წესში ცვლილებები არ იგეგმება და დაწესებული გადასახადის გაუქმება ამ ეტაპზე არ განიხილება.

„დაფინანსების ერთ-ერთ წყაროდ კანონმდებლობით დადგენილია 112-ის მომსახურების საფასური, ეს პრინციპი განისაზღვრა მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით. 112-ის მომსახურება და სერვისი ვფიქრობ, არის ეფექტური და ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს სწორი ფორმაა“, — განაცხადა ღარიბაშვილმა „ინტერპრესნიუსის“ კითხვის საპასუხოდ, ხომ არ შეიცვლება 112-ის სერვისის დაფინანსების წესი, რომელიც ამ დრომდე მოსახლეობის სატელეფონო ანგარიშებიდან ჩამოჭრილი ყოველთვიური თანხით ფინანსდება.

ამასთან, მინისტრმა განმარტა, რომ კონსულტაციები გრძელდება და საბოლოოდ მთავრობის გადასაწყვეტია, გაუქმდება თუ არა 112-ის გადასახადი.

* * *

შინაგან საქმეთა მინისტრმა 100-ზე მეტ აქტუალურ შეკითხვას უპასუხა. სხვათა შორის, პასუხების უმრავლესობა ერთობ დამაჯერებელი იყო.

სპარტაკ ქოგულია

◎ ფასები

რას ელიან პრემიერის „ძველი ნაცნობებისგან“

ჯანსაღი კონკურენციით მომხმარებელი დარჩება მოგებული

ფარმაცევტულ ბაზარზე კიდევ ერთი მსხვილი კომპანიის და თანაც პრემიერის „ძველი ნაცნობის“ შემოყვანას ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილის განცხადება სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებმა თავისებურად შეაფასეს, ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენციის გაზრდა და, შესაბამისად, ფასების შემცირება, მხოლოდ და მხოლოდ დადებითი მომენტია.

პრემიერ-მინისტრს წამლების გაიაფების კუთხით სპეციალური პროგრამა აძვს:

„ბაზარზე ფასების დაწევა ახალი მოთამაშის შემოყვანის გზით მოხდება ისე, რომ არ დავაზიანოთ პირველი ორი ხაზის სააფთიაქო ქსელის ბიზნესი, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს. გაიაფება შეინიშნება ფარმაციის ბაზარზე, ახალი მოთამაშე უნდა შემოვიყვანოთ და ფასები დაიწევს ისე, რომ არ დაზარალდეს სხვა მოთამაშე“, — ივანიშვილის განცხადებით, მას უკვე ჰქონდა მოლაპარაკება გარკვეულ ჯგუფთან, რომელმაც, შესაძლოა, ქვეყანაში საყოველთაო მოხმარების წამლები შემოიტანოს:

„მე უკვე მქონდა მოლაპარაკება ცნობილ ბიზნესმენთან, ჩემს მეგობართან, ჩემი ნაცნობია ძველი. იქნებ ფართო მოხმარების წამლებზე მოვახერხოთ ფასის შემცირება. ძირითადი დასახელება რაც არის, მოვახერხოთ მკვეთრად ფასების დაწევა. რაც კიდევ უფრო გაუიოლებს მოსახლეობას, მიხედოს საკუთარ ჯანმრთელობას“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერის გადაწყვეტილებას ეთანხმება ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო. იგი თვლის, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე ახალი მოთამაშის გამოჩენა კონკურენციას გაზრდის.

„კონკურენცია ყოველთვის კარგია, რადგანაც მედიკამენტის ღირებულება ზოგადი ჯანდაცვის დანახარჯების ძალიან მაღალ, 60%-მდე ნიშნულს შეადგენს, რითაც საქართველოს ევროპაში პირველი ადგილი, ხოლო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი გვიჭირავს. თავისთავად ცხადია, რომ უნდა მივიღოთ ზომები, რომ ეს ნიშნული შემცირდეს ოპტიმალურამდე. აქ რაიმე იმპერატიულ რეგულირებაზე არ იქნება საუბარი, არამედ კონკურენციის ხელშეწყობაზე ვიზრუნებთ“, — განაცადა მინისტრმა, რომელმაც მოლაპარაკებების კონფიდენციალურობიდან გამომდინარე, კომპანიის დასახელებისგან თავი შეიკავა.

მსხვილი აფთიაქარები პრემიერის განცხადებას საკმაოდ გაგებით მოეკიდნენ. ფარმაცევტულ ბაზარზე ახალი მოთამაშის შესაძლო შემოსვლასთან დაკავშირებით ერთ-ერთი პირველმა, კომპანია „პე-ეს-პემ“ გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ახალი კომპანიის გამოჩენა ბაზარზე კონკურენციას კიდევ უფრო გაზრდის.

„ჩვენ მივესალმებით ჯანსაღ კონკურენციას. „პე-ეს-პე“ თითქმის, 20 წელია ფარმაცევტული ბაზრის ლიდერია და ახალი კონკურენტი კიდევ უფრო გაზრდის ჩვენ მოტივაციას წინსვლასა და განვითარებაზე მომხმარებლისთვის მეტი სარგებლის უზრუნველსაყოფად.

„პე-ეს-პე“ მუდმივად აქტიურად მუშაობს მწარმოებლებთან და ახალი მომწოდებლების მოძიებისთვის, რისი დასტურიცაა ონკოლოგიური პრეპარატების 200-300%-ით გაიაფება საქართველოს ბაზარზე. ეს პრეპარატები, სიძვირის გამო, „პე-ეს-პეს“ დიდი ხანი არ შემოჰქონდა, ამიტომ სხვა სააფთიაქო ქსელში ისინი ძალიან ძვირად იყიდებოდა მანამდე, ვიდრე „პე-ეს-პემ“ ახალი იტალიელი მომწოდებელი არ მოიძია და იგივე პრეპარატები საქართველოს მომხმარებლებისთვის ნახევარ და მესამედ ფასად ხელმისაწვდომი გახადა, რითიც, საბოლოო ჯამში, მომხმარებელი რჩება მოგებული“, — ნათქვამია განცხადებაში.

სააფთიაქო ქსელ „ჯიპისის“ ხელმძღვანელის განცხადებით, მედიკამენტების ბაზარზე გაიაფების ტენდენცია უკვე ფაქტია. დავით კილაძის თქმით, ბოლო პერიოდში წამლებზე ფასების კლება დაწყებულია, ხოლო „ჯიპისი“—ში სპეციალური პროგრამა მოქმედებს, რომელიც მომხმარებელს „ჯენერიკ მედიკამენტების“ შეძენის საშუალებას 30%—ით ნაკლებად სთავაზობს.

რაც შეეხება ბაზარზე ახალი მოთამაშის შემოსვლას, კილაძე ამბობს, რომ ახალი კონკურენტის გამოჩენა ყოველთვის დადებითია, რადგან არსებულ მოთამაშეებს ეს პროცესი მოდუნების საშუალებას არ აძლევს.

სპეციალისტები პრემიერის განცხადება, სხვა კონტექსტშიც განიხილავენ. „ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი ლევან კალანდაძე ამბობს, რომ პრემიერ-მინისტრის განცხადება გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს, თუმცა თავისთავად ფაქტი, რომ საქართველოს ბაზარზე შეიძლება გამოჩნდეს ახალი მოთამაშე, კარგია.

„რამდენად კარგია, როცა ამ განცხადებას პოლიტიკოსი აკეთებს და აპელირებს მეგობრობის მომენტზე? ტრაგედიას ამაში ვერ ვხედავ, თუ ბაზარზე თამაშის წესები ბიზნეს-სტრუქტურებს შორის იქნება სამართლიანი, იქნება კონკურენტული გარემო შექმნილი, გარკვეული პრეფერენციებით არ ისარგებლებენ ბიზნესები იმის გამო, რომ რომელიღაც მეწარმე პრემიერთან ან სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებულია“, — ამბობს კალანდაძე.

მისი განცხადებით, ეს საფრთხე იმ შემთხვევაში აღმოიფხვრება, თუ სისტემა იქნება მდგრადი და სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირების ნაწილში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა სრულფასოვანად ამოქმედდება.

ეკა ბაძრაძე

ახალი ეკონომიკური განვითარების სტრატეგია

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ფინანსთა სამინისტროში ექსპერტებთან საქართველოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის დოკუმენტის შექმნის შესახებ იმსჯელეს.

როგორც შეხვედრის შემდეგ ნოდარ ხადურმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, დოკუმენტი „ქართული ოცნების“ „საარჩევნო და სამთავრობო პროგრამას“ დაეყრდნობა. მისი თქმით, განსაზღვრული იქნება პრიორიტეტები და ის ფინანსური რესურსები, რომელიც ეკონომიკაში დასახული მიზნების მისაღწევად უნდა იქნეს გამოყოფილი.

ამასთან, როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, მათ ექსპერტებთან იმსჯელეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის დოკუმენტის შექმნაზე.

ქვეყნის სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტის შედგენაზე მუშაობა ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა დაავალა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ „ეს უნდა დამთავრდეს!“

კონტაქტები რუსეთთან... მიმოწერა ევროპასთან...

„ნაღმის ამოღება“ კონსტიტუციიდან...

„უცნაური“ ხალხი ვართ ქართველები, მეტი რომ არ ვთქვათ... ამას წინათ, ქუჩაში ასეთ საუბარს შევესწარი: ერთი ეკითხება მეორეს, — „ერისიონის“ საქციელს ამართლებ?.. პასუხი — ჰო, რა ვიცი, პუტინისთვის ხომ არ უცეკვიათ და უმღერიათ? ხალხთან ჩავიდნენ, სახალხო დიპლომატიაა, დეოკუპაციის ამბავში გამოგვადგება რა, თორემ — პუტინის დედაც“...

ხალხო, ეს პუტინი რუსეთის პრეზიდენტი არაა? რომელიც, „თითქმის“ ერთპიროვნულად წყვეტს ნებისმიერ საკითხს (ასეთი ქვეყანაა რუსეთი...), მოკლედ, არადემოკრატია, მაგრამ, ნუთუ ძნელი გასაგებია, რომ რიგით რუსს — ქართული ღვინისმოყვარულებს, ან ჩვენი კულტურის რუს დამფასებლებს კი არ ძალუძთ (ძალიანაც რომ უნდოდეთ) საქართველოს დეოკუპაცია, არამედ ამ ქვეყნის პრეზიდენტს, პუტინს. ანუ მთელი რუსეთის გულიც რომ მოვიგოთ ჩვენი მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გაღებით, თუ ეს ერთი კაცი არ ისურვებს, მაშინ დეოკუპაცია არ მოხდება... ამიტომ, ნუ ჩავიგდებთ თავს სასაცილო მდგომარეობაში იმით, რომ ცალკე ვაქოთ რუსები და ცალკე ვაგინოთ პუტინს — თავის გასამართლებლად...

მოკლედ, „ჩამოვყალიბდეთ“ — ან რუსეთთან ურთიერთობას ვაწესრიგებთ ღირსეულად და ზომიერების დაცვით (ყველა სფეროში), რათა ქვეყანა გავამთლიანოთ და ვინც ამ საქმეშია ჩართული, — პოლიტიკოსი, ხელოვანი, ბიზნესმენი თუ სხვა, — პუტინთან ერთად არ ვაგინოთ, ან კიდევ, დავანებოთ ამ საქმეს თავი (რუსეთთან ურთიერთობის დალაგება) და ქვეყნის გამთლიანებაც ღვთის იმედად დავტოვოთ (ესეც პოზიციაა)...

დღეს, ღირსებასა და გონიერებაზე დაფუძნებული პოლიტიკური პრაგმატიზმით უნდა ვიხელმძღვანელოთ, თუ გვინდა შედეგი მივიღოთ და ქვეყანა გავამთლიანოთ... მაგრამ, რიგით მოქალაქეს რა უნდა უთხრა, როცა ოფიციალურ პირებსაც კი, ხშირ შემთხვევაში საერთო სახელმწიფოებრივი სტრატეგია და რიტორიკა არა აქვთ შეჯერებული, ეს კი ხელს არ შეუწყობს, არამედ უფრო გაგვირთულებს რუსეთთან პოლიტიკური დიალოგის დაწყებას, რომლის მიზანი საქართველოს გამთლიანებაა! მაგალითად, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს მიაჩნია, რომ პუტინის და ანქვაბის შეხვედრამ მოსკოვში, ზიანი მოუტანა საქართველოს(?!). კი, მაგრამ, „ახლა“ გაიგო ქ-ნმა მინისტრმა, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა და სეპარატისტული რეგიონების პირველი პირები „ხვდებიან“ ერთმანეთს?! ჩვენგან, ასეთ პრიმიტიულ საპროტესტო განცხადებებს ხომ ნულამდე დაყავს ნდობის და დიალოგის აღდგენის შანსი, როგორც აფხაზებთან და ოსებთან, ისე მოსკოვთან?! საქმე ის არის, რომ ურუსებოდ ეს საქმე ადგილიდან არ დაიძვრება და ეს არ იცის საგარეო საქმეთა მინისტრმა?! აბა, რატომ გვინდა რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება?!.. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა დავალაგოთ და, ამავდროულად, დიალოგი დავიწყოთ აფხაზებსა და ოსებთან, ხომ ასეა? მერე რა გიკვირთ, რომ ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ და დიალოგი ჰქონდეთ? იქნებ გვინდა, რომ მათ ერთმანეთან შეხვედრები ავუკრძალოთ? და ასეთი პოზიციით შევძლებთ რუსეთთან „ურთიერთობის დალაგებას“, ან კიდევ აფხაზები და ოსები „დაგვიჯდებიან სასაუბროდ“?! რუსეთმა (პუტინმა) მათი „დამოუკიდებლობა აღიარა“ და ამ უმძიმესი მდგომარეობიდან უნდა გამოვიდეთ როგორმე! თუ, ჰგონია ვინმეს, რომ შერცხვებათ რუსებს და „ხონჩით“ მოგვართმევენ“ ჩვენს ორ რეგიონს, რომლებიც, თავის მხრივ, საერთოდ არ ცნობენ საქართველოს იურისდიქციას და „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ მიიჩნევენ თავს?! ხანდახან მეჩვენება, რომ ქართული საზოგადოების 90 პროცენტს არა აქვს ბოლომდე გაცნობიერებული, თუ რა უმძიმესი სირთულის პრობლემაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა!... თუმცა რა, საზოგადოება კი არა, აგერ საგარეო საქმეთა მინისტრი „დაცურავს“ ამ საკითხებში!..

ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა და ამ კურსს თანამიმდევრულად უნდა გავყვეთ, თუ გვინდა სასურველი შედეგი მივიღოთ . რუსეთთან ურთიერთობის დალაგება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, ხოლო ამ პოლიტიკის მიზანია, რომ მოხდეს საქართველოს 20 პროცენტი ტერიტორიების დეოკუპაცია! ამ ურთუ-ლეს გზაზე კი, სანამ პოლიტიკური დიალოგი დაიწყება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სავაჭრო-ეკონომიკური, სატრანსპორტო, ჰუმანიტარულ-საგანმანათებლო და კულტურული კავშირების აღდგენა-განახლებას, რისთვისაც ბიძინა ივანიშვილმა ზურაბ აბაშიძე დანიშნა სპეცწარმომადგენლად რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში (ოკუპანტ რუსეთთან, დიპლომატიური ურთიერთობების უქონლობის პირობებში)! თავის მხრივ, რუსეთის ხელმძღვანელობამ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი აღჭურვა უფლებებით ამ დიალოგის საწარმოებლად ზურაბ აბაშიძესთან, ანუ საქართველოსთან! აბაშიძე-კარასინმა უკვე გამართეს ორი შეხვედრა. პირველი სავაჭრო-ეკონომიკური შედეგი უკვე მივიღეთ, ანუ, გადაწყდა ქართული ღვინოების და მინერალური წყლების რუსეთის ბაზარზე დაშვების საკითხი!

„ერისიონის“ და ხელოვნების სხვა სფეროების წარმომადგენელთა გასტროლები უნდა განვიხილოთ კულტურული ურთიერთობების ასპექტში, რომელიც ასევე ემსახურება საერთო მიზანს, რაზედაც ზევით მოგახსენეთ!.. ასე რომ, ლოგიკურად მივყვეთ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებამდეც მივალთ. ვფიქრობ, რომ პუტინს და ზოგადად რუსეთს „დანაწევრებული“ საქართველო არ უნდა აწყობდეს (ჩრდილო კავკასიის და სხვა პრობლემები..), მაგრამ, არც ნატოს წევრი საქართველო აწყობს, მოკლედ, იმედი ვიქონიოთ, რომ ასეთ დიალოგამდე მივლენ პირველი პირები და იქ ვნახოთ. იქამდე მისასვლელად კი, აი, ეს ეკლიანი გზა უნდა გავიაროთ!..

— თანამედროვე ევროპა ქრისტიანული სარწმუნოების ნაყოფია! საუკუნეების მანძილზე არც ერთ ევროპელ ერს არ დაუღვრია იმდენი სისხლი ქრისტეს ჯვრისათვის, — ევროპისაკენ მოძალებული ისლამური სამყაროს შესაკავებლად, რამდენიც დაღვარა ქართველმა ერმა! ამდენად, ქართველებს სულიერი და მორალური უფლება დიდი ხანია აქვთ, რათა საკუთარი, ღირსეული ადგილი დაიკავონ საერთო ევროპულ ოჯახში!

ევროპარლამენტარების ერთი ჯგუფისთვის კი სააკაშვილის რეჟიმი უფრო ღირებულია, სამწუხაროდ, ვიდრე საქართველოს წარსული და აწმყო, ვინაიდან სააკაშვილმა მოახერხა მათი დეზინფორმირება ამ 9 წლის მანძილზე, საკუთარი ქვეყნის საზიანოდ!.. გარდა ამისა, რაც „ნაცმოძი“ და მისი თავმჯდომარე ხელისუფლებაში იყვნენ, მათი საგარეო პოლიტიკა ორმხრივ ურთიერთობებში ორიენტირებული იყო მხოლოდ აშშ-ზე — კონგრესმენები, სენატორები, სახელმწიფო დეპარტამენტის ჩინოვნიკები და სხვადასხვა ლობისტური ჯგუფები... რაც შეეხება ევროპას, სააკაშვილის საგარეო ევროპული პოლიტიკა ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ევროკავშირი, ეუთო, ევროსაბჭო და სხვა) და ამ ორგანიზაციებში არსებული ევროპული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ურთიერთობებით გამოირჩეოდა (მით უმეტეს, „სახალხო პარტიასთან“). ხოლო, ორმხრივი ურთიერთობები სახელმწიფოების დონეზე, მხოლოდ ბალტიელებთან და პოლონეთთან მახსენდება, დანარჩენ ევროპულ სახელმწიფოებთან — კანტიკუნტად... თითქმის ნულამდე შემცირდა ორმხრივი დიალოგი (განსაკუთრებით, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ), ევროპის 2 უდიდეს (ყველა თვალსაზრისით) სახელმწიფოსთან, რომელთა გარეშეც, პრინციპში ევროკავშირი, ნატო და თავად დიდი ევროპა შეუძლებელია წარმოიდგინო, ესენია — საფრანგეთი და გერმანია!.. საქმე ის არის, რომ სააკაშვილისთვის, მისი ხელისუფლებაში ყოფნის უზრუნველსაყოფად, საკმარისი იყო აშშ-ს მხარდაჭერა, იგი საჭიროდ არ თვლიდა, რომ საქართველოს გერმანიასთან და საფრანგეთთან ორმხრივი ურთიერთობის გასაღრმავებლად მეტი ეზრუნა! სხვათა შორის, **აგვისტოს ომის შემდეგ გერმანელებს და ფრანგებს სააკაშვილის სახელის გაგონებაც არ უნდოდათ!.. მოკლედ, ახალმა ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა ამოავსოს ის სიცარიელე, რასაც ამ ორ მძლავრ სახელმწიფოსთან კავშირის გამყარება ჰქვია.** ჩვენ ევროპული ქვეყანა ვართ და თანაც, ჩვენთვის, სწორედ გერმანიას და საფრანგეთს უფრო ხელეწიფებათ, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად დახმარება გაგვიწიონ!.. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა და არ შეიძლება ამ ღირსეულ განცხადებას არ დაეთანხმო: **„ჩვენ ევროპას ძალიან კარგ ენაზე ვესაუბრებით... ევროპელობა არ ნიშნავს იმას, რომ ყველა დემოკრატია და ყველამ ჭკუა უნდა გვასწავლოს... ჩვენ არ გვეშინია, რომ ევროპაში სიმართლე გავიტანოთ“!**

— ნებისმიერი დეპუტატი (უმცირესობიდან), რომელიც ხმას არ მისცემს (ან — თავს შეიკავებს) საკონსტიტუციო ცვლილებას (რომელიც უფლებას ანიჭებს სააკაშვილს, რომ პარლამენტის თანხმობის გარეშე დანიშნოს თავისი მთავრობა), — იქნება დიქტატურის მხარდამჭერი და იმის ღიად მოსურნე, რომ ქვეყნის სათავეში ისევ დაბრუნდნენ „ნაციონალები“, უსამართლობა, ქვეყნის გაპარტახება და დაქცევა!.. ამ კენჭისყრის შემდეგ, გავაგრძელებთ ნამდვილ კოჰაბიტაციას იმ ხალხთან, ვისაც კოჰაბიტაცია უნდა, ხოლო ვისაც „ბოროტთა რევანში“ სწადია, იმათთან „კოჰაბიტაცია“ ერთმნიშვნელოვნად უნდა დასრულდეს!.. თითქმის ნახევარი წელიწადი გავიდა არჩევნებიდან და მთავრობა ისევ „მონუსხულია“! სასამართლო, ეროვნული ბანკი, სახელმწიფო აუდიტი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, ისევ სააკაშვილის გამგებლობაშია,თბილისის მერი და მისი „მერიაც რაღაცის მოლოდინშია“!.. როგორც არჩევნების წინ ამბობდა ბ-ნი ბიძინა - „ეს უნდა დამთავრდეს“... ჩემის მხრივ დავამატებდი — რაც მალე, მით უკეთესი საქართველოსთვის!!!

ჯუმბერ კირვალიძე,
პოლიტოლოგი.

P. S. რუსების, ევრო-ამერიკელების და სინგაპურიზაციაზე „დამაშვრალი“ „ნაცმოძის“ საყურადღებოდ — „საქართველო ქვეყანაა, კუნძულიკა კი არა!..“ —(მუხრან მაჭავარიანი).

ჯ. კ.

◎ ალიან-ჩალიანი

წულუკიანმა და კბილაშვილმა თბილისის პროკურორი ნარაღვინეს

საძართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა თბილისის პროკურატურის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი — მაია მწარიაშვილი წარუდგინეს.

იუსტიციის მინისტრმა თბილისის ახალი პროკურორის წარდგენისას მისი წინამორბედის დამსახურებებზე ისაუბრა და მას მადლობა გადაუხადა.

როგორც თეა წულუკიანმა აღნიშნა, დავით კოჭლამაზაშვილმა ბოლო თვეების განმავლობაში საკმაოდ მძიმე შრომა გასწია და შეძლო, თბილისის პროკურატურა სწორ გზაზე ეტარებინა. სწორედ ამიტომ, თეა წულუკიანის გადაწყვეტილებით, დავით კოჭლამაზაშვილი მუშაობას მთავარი პროკურატურის ცენტრალურ აპარატში გააგრძელებს.

სააკაშვილი პარლამენტს არ დაითხოვს, მთავრობას კი თვალი დაადგა

დეპუტატი თინა ხიდაშელი დარწმუნებულია, რომ თუ პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებები ვერ გავა, მიხეილ სააკაშვილი აუცილებლად გამოიყენებს კონსტიტუციურ უფლებას — შექმნას მთავრობა პარლამენტთან შეუთანხმებლად.

ამასთან, ხიდაშელი დარწმუნებულია იმაშიც, რომ პრეზიდენტი პარლამენტს არ დაითხოვს.

გარდა ამისა, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ დავით პაიჭაძის გადაცემაში სტუმრობისას განაცხადა, რომ ინიცირებული საკონსტიტუციო პროექტი პარლამენტში გავა, რადგან არსებობს ძალიან ბევრი ადამიანი, რომლებმაც ზუსტად იციან ცვლილებების გაუსვლელობის ხიფათი და ის, თუ რაზეა წამსვლელი მიხეილ სააკაშვილი. მათი რაოდენობა კი, ხიდაშელის მონაცემებით, 100-ზე გაცილებით მეტია.

ხიდაშელმა პარლამენტში წარდგენილ საკონსტიტუციო ცვლილებების არსზე ვრცლად ისაუბრა და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მისი მიზანი მოსალოდნელი პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცილებაა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რატომ?

დღემდე რატომ აჩუმათებს სააკაშვილი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2009 წლის რეზოლუციას?

ჩვენს შეკითხვებს უპასუხებს საერთაშორისო სამართლის ექსპერტი, სამართლის დოქტორი, პროფესორი ბიძინა სავანელი

— ბატონო ბიძინა, გასული კვირის ბოლოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან სატელევიზიო ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ის სულმოუთქმელად ელოდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისაგან ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ რეზოლუციის მიღებას. რამდენად შედეგიანი იქნება ასეთი რეზოლუცია?

— ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ საქართველოსთან მიმართებაში ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ მრავალი რეზოლუცია მიიღო, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა. პირიქით, მდგომარეობა გაცილებით დამძიმდა.

საქმე შემდეგშია. იმის მაგივრად, რომ სააკაშვილს 2008 წლამდე დსთ-დან საქართველო გამოეყვანა და საერთაშორიო სამართლებრივი მექანიზმების ჩართულობა გაეფართოებინა, აფხაზებსა და ოსებთან შიდა სახელმწიფო კონფლიქტის მოსაგვარებლად მშვიდობიანი გზები მოეძია, რუსეთს საქმე გაუადვილა: მან ეროვნული ხელისუფლების მიერ გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომია აღადგინა და მას ახალგორი მიუერთა, კოდორის ხეობის მოსახლეობაზე შეიარაღებული თავდასხმა მოაწყო, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი სვანები განაიარაღა და აფხაზეთს ზემო კოდორი მიუერთა; „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის“ საბაბით 2008 წლის 7 აგვისტოს 23 საათსა 35 წუთზე გაცემული ბრძანებით ჩრდილო ქართლის ზონაში შეიარაღებული აგრესიის, კერძოდ, საქართველოს ქალაქ ცხინვალისა და მიმდებარე სოფლების დაბომბვისა და მშვიდობიან მოსახლეობაზე შეიარაღებული თავდასხმით საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს სტატუტით გათვალისწინებული ომის დანაშაული და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო დანაშაული ჩაიდინა, რითაც რუსეთს ხელი შეუწყო იმაში, რომ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ოკუპაცია და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ეღიარებინა, რასაც საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დაკარგვა მოჰყვა. ყველა ზემოაღნიშნული ფაქტი დადასტურებულია ევროპის კავშირის საგამოძიები მისიის დასკვნით.

ამრიგად, სააკაშვილმა შიდა სახელმწიფო კონფლიქტი სახელმწიფოთაშორისო, ანუ საერთაშორისო სამართლებრივ კონფლიქტად აქცია, რითაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსექტივა განუსაზღვრელი ვადით გადასწია, რადგან საერთაშორისო სამართლებრივი კონფლიქტის მოგვარება გაცილებით რთულია, ვიდრე შიდა სახელმწიფო კონფლიქტისა.

ასეთ პირობებში ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისაგან რეზოლუცია ისევ ქაღალდზე დარჩება, სასწაული რომც მოხდეს და ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალთა დაბრუნების პროცესი დაიწყოს, რა გარანტიაა, რომ რუსეთის საოკუპაციო ჯარი მათ დაცვას და მშვიდობიან განსახლებას უზრუნველყოფს? არავითარი, რადგან რუსეთმა თავის ისტორიულ ოცნებას ამ ეტაპზე მიაღწია: სააკაშვილის დახმარებით აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაიპყრო, და დამიჯერეთ, დე იურედ დროებით აღიარა, რადგან პუტინი და კომპანია ორ-სამ წელიწადში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს რუსეთის ავტონომიებად აქცევს.

— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სხვა რა გზა არსებობს დღეს, როდესაც 2008 წლის ომამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა?

— ჯერ კიდევ 2004 წლის 7 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის ივანე ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიაში ჩემი ინიციატივით შეკრებილმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამედიცინო უნივერსიტეტის 52 პროფესორმა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ორმა აკადემიკოსმა პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს მოსთხოვა: „სნგ“-დან გამოსვლა და ლტოლვილთა დაბრუნების საფუძვლით კონფლიქტურ ზონებში სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაცია, კერძოდ, „სნგ“-ს, ანუ ფაქტობრივად რუსეთის ე.წ. სამშვიდობოების ჩანაცვლება გაეროს სამშვიდოებით, რომელიც დაკომპლექტებული იქნებოდა შეიარაღებული ძალებით საქართველოს არამოსაზღვრე ქვეყნებიდან. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ აფხაზეთთან მიმართებაში ორგანიზებულმა სამეცნიერო კონფერენციამ ამ მიმართვას ერთხმად მხარი დაუჭირა, და სამეცნიერო კონფერენციის პოზიციის შესახებ ინფორმაცია და აღნიშნული მიმართვის შინაარსი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა. ერთადერთი ვინც ამ მოთხოვნას წინ აღუდგა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკაშვილის მიერ დანიშნული პრორექტორი ლევან ალექსიძე იყო. თქვენ შემეკითხებით: რატომ?! მე გიპასუხებთ: რატომ და იმიტომ, რომ, როგორც რუსები იტყვიან: „Бывших не бывает“. მოგვიანებით ხელმოწერები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების დამრბევმა და მდევნელმა, დღეს კი ახალი მთავრობის მისი თანასოფლელი ერთი მინისტრის მეოხებით აღზევებულმა ხუბუამ, აგრეთვე შენგელიამ და ნაჭყებიამ, გაითხოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი გზაღა დაგვრჩა, რაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიგვითითა. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2009 წლის 28 სექტემბრის რეზოლუციის თანახმად: **„ევროპის საპარლამენტო ასამბლეა თვლის, რომ ახალი სამშვიდობო ფორმატის შექმნასა და კონფლიქტურ რეგიონებში მშვიდობის მხარდასაჭერად სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს სტაბილურობისა და უშიშროებისათვის, და ამ რეგიონების სტატუსთან დაკავშირებული არ შეიძლება იყოს“.**

ამრიგად, ორი აკადემიკოსის, 52 პროფესორის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მოთხოვნას, არა საქართველოს ხელისუფლებამ, არამედ მხარი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დაუჭირა, რაც სავალალოზე მეტია.

2009 წლის 28 სექტემბრიდან ვიდრე 2012 წლის 1 მარტამდე, ანუ 3 წლინახევრის განმავლობაში აბა ყური თუ მოგიკრავთ, რომ სააკაშვილს და, სამწუხაროდ, ზაქარეიშვილსაც, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2009 წლის 28 სექტემბრის ეს რეზოლუცია გაკვრით მაინც ეხსენებინოთ? რატომ?!

არადა, აფხაზეთში დემოგრაფიული სიტუაცია მკვეთრად იცვლება: აფხაზეთში აფხაზების მკვეთრი კლება და სომხების ასეთივე მატება აშკარად შეინიშნება. სამწელნახევარი სააკაშვილი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2009 წლის 28 სექტემბრის რეზოლუციის საკითხს ამიტომ ხომ არ აჩუმათებდა?! **„მტრისა შინა ყოლასა, ლომისა გზასა ზედა წოლა სჯობია“.**

ამ თვალსაზრისით ე. წ. „რეინტეგრაციის სამინისტრო“ სრული ანაქრონიზმია და ის უნდა გაუქმდეს, ხოლო საერთაშორისო სამართლის სპეციალიტების ჯგუფი (თუ კი ასეთი იქ არსებობს) საგარეო საქმეთა სამინისტროში უნდა გადავიდნენ.

— რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, რამდენად მიზანშეწონილია თქვენი და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2009 წლის 28 სექტემბრის რეზოლუციის ამოქმედების შესახებ ლტოლვილთა დაბრუნების მოტივით გაეროს წინაშე საკითხის დღეს დაყენება?

— ეს მთავრობის გადასაწყვეტი საკითხია. მაგრამ, ყველა შემთხვევაში საკითხის საწყის ეტაპზე მოზომილად გაჟღერება, თუნდაც როგორც პოლიტიკურად „სავაჭრო“ თემისა, საჭიროა, ხოლო შემდეგ მისი მზარდი გაძლიერება გადაუდებლად აუცილებელია. სხვა რეალური გზა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დასაბრუნებლად, დამიჯერეთ, არ გვქონია და არც გვაქვს. რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას არაერთი წელი დასჭირდება, ჩვენ კი დროში „ვიწვით“, დრო რუსეთზე „მუშაობს“.

არადა, გაეროს გენერალური ასამბლეა ერთმნიშვნელოვნად მხარს დაუჭერს ლტოლვილთა და იძულებით ადგილაცვალთა დაბრუნების საფუძვლით გაეროს სამშვიდოებებით რუსეთის დე ფაქტო საოკუპაციო ჯარის ჩანაცვლებას, რადგან საერთაშორისო სამართლის უზენაესი სტანდარტის თანახმად: **„ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალთა დაბრუნება არა პოლიტიკური, არამედ სოციალური და ჰუმანიტარული საკითხია.“** ეს დებულება საერთაშორისო სამართლის ანბანია.

ამიტომ, დღევანდელ მთავრობას ვეკითხები: **საქართველომ რატომ უნდა თქვას უარი საერთაშორისო სამართლის ანბანური მოთხოვნის გაეროს დონეზე გამოთქმასა და ზომიერ ამოქმედებაზე?!**

◎ მონანიება

როცა დუმილი მართლაც არ არის ოქრო!

პატიებას ვთხოვ ვალერი ასათიანს ამდენი წლის შემდეგ

2003 წლის 9 მარტს, შენდობის კვირას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ბრძანა: „ლოცვაში წერია: „არ არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს“. პავლე მოციქული ამბობს: „ცოდვილთაგან პირველი მე ვარ“. და მერა მეთქმის? სრულიად საქართველოში, ყოველთა ქართველთაგან ყველაზე ცოდვილი მე ვარ. ამიტომ გთხოვთ, შენდობასა და პატიებას ცოდვათა ჩემთა გამო. შემინდეთ და მაპატიეთ ჩემი ცოდვები“.

თუ პატრიარქი ამბობს, რომ ყველაზე ცოდვილია, ჩვენ რაღა გვეთქმის? საკუთარი უცოდველობის გრძნობით შეპყრობილმა ძართულმა ელიტამ მაშინ ამ სიტყვებიდან აზრი ვერ გამოიტანა. მას შემდეგ 10 წელი გავიდა, მაგრამ პოლიტიკური ელიტა დღესაც უცოდველად მიიჩნევს თავს.

თითქოს გავიმარჯვეთ. თითქოს ყველაფერი უნდა შეცვლილიყო, მაგრამ მხოლოდ მთავრობა შეიცვალა. ქვემოთ ყველაფერი თითქმის ისეთივეა. ერთი, რაც ნამდვილად თვალში საცემია — ადამიანებს შიში აღარა აქვთ თვალებში. შიში, რომელსაც თვალის დახუჭვითაც ვერ მალავდნენ; ჰაერი გაჟღენთილი იყო ამით. იმ წლების შემოქმედთ თავშიც არ მოსდით, თუნდაც მხოლოდ ამისთვის ითხოვონ შენდობა. ისინი ამტკიცებენ, რომ არაფერი აქვთ საპატიებელი, დახურულ კარს მიღმა კი ამნისტიაზე ვაჭრობენ. **სააკაშვილი ხმამაღლა აცხადებს, რომ სიტყვა „ამნისტია“ მისთვის მიუღებელია,** თუმცა, საკონსტიტუციო ცვლილებებზე გაჯიუტება სწორედ ამით აიხსნება. **„ჩვენ პატიება არ გვჭირდება“,** — აცხადებენ ისინი. **პატრიარქს სჭირდება, მათ — არა!**

პირადად მე იმავე 2003 წელს ვაპატიე მათ, ვინც ტყუილითა და მანიპულირებით ჩაიგდეს ხელისუფლება. ვაპატიე ყველაფერი, რაც დამაბრალეს, მაგრამ მთელი საქართველოს სახელით პატიების უფლება არც მაშინ მქონდა და არც ახლა მაქვს. არც ვინმესთვის მიუცია ამის უფლება ღმერთს.

საზოგადოება ღელავს. „სამართლიანობის აღდგენა“ ყველაზე ხშირად ხსენებულ სიტყვათა შეთანხმებაა. ისინი, ვინც სამართალს 9 წელიწადს აუპატიურებდნენ, შეტევაზე გადმოდიან და ექსკლუზიურ სამართალს ითხოვენ მხოლოდ საკუთარი კასტისთვის.

არადა, ოდნავი სინანულიც რომ შეატყოს მათ საზოგადოებამ, ბევრს აპატიებდა. მაგრამ სინანული არ არის, შენდობა კი, უსინანულოდ არ არსებობს. თუმცა, **ისინი შენდობას არ ითხოვენ. ისინი ხელშეუხებლობას მოითხოვენ.**

როგორც იტყვიან — იგრძენი განსხვავება!

ადამიანების მორალური ტერორი „რევოლუციონერებმა“ რევოლუციამდე გაცილებით ადრე დაიწყეს. ამის ბევრი მაგალითი იყო. **დღეს ის ადამიანები, რომლებმაც 1998 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს წინ კუბოების აქცია გამართეს, სააკაშვილისთვის ზუგდიდში კუბოს დასვედრებას წარმართულ რიტუალს უწოდებენ.** არადა, რიტუალურ „მკვლელობათა“ სიყვარულში სწორედ ისინი არიან შემჩნეული. **როდესაც დღევანდელმა ბიზნესის ქომაგმა აკაკი გოგიჩაიშვილმა 2001 წელს ვალერი ასათიანს რიტუალური მკვლელობა დააბრალა, სულაც არ უდარდია იმაზე, რომ ამით მის შვილს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.**

მაშინ სახალხო დამცველი ვიყავი. ხმა არ ავიმაღლე ამ უზნეობის წინააღმდეგ. ვიფიქრე, რომ ამას დამოუკიდებელ მედიაზე თავდასხმად შეაფასებდნენ. ჩავთვალე, რომ სახალხო დამცველი ამაში არ უნდა ჩარეულიყო. სამწუხაროდ, გვიან მივხვდი, რომ ეს ფსევდოლიბერალური დამოკიდებულება ჩემი მხრიდან უზნეობის მდუმარე წახალისება იყო. მაშინ თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ ბრალდება იმდენად აბსურდული იყო, არავინ დაიჯერებდა. შესაძლოა, ასეც იყო, მაგრამ საკუთარი თავისთვის ამის პატიება არ შემიძლია.

ამ ამბის შემდეგ, როცა ვალერი შემხვდა, ჩუმად მხოლოდ ის მითხრა, რომ დუმილი ყოველთვის ოქრო არ არის. ეს იყო და ეს.

ჩემს ცხოვრებაში ეს ყველაზე მძიმე შეფასება დღემდე მომყვება და, ალბათ, არც არასოდეს დამტოვებს. **ვალერიმ სასამართლოც მოიგო და „რუსთავი 2“-ის გადაცემა „60 წუთიც“ სწორედ იმიტომ დაიხურა, რომ მისთვის ბოდიში არ მოეხადათ.**

მის ავტორს კი „რევოლუციის“ შემდეგ აღარც უკანონობა დაუნახავს და არც სანდრო გირგვლიანის რიტუალური მკვლელობა.

ფრთხილად ვიყოთ, როცა ეს არსებები დამოუკიდებელ მედიასა და ადამიანის უფლებებზე ლაპარაკობენ. სინამდვილეში ეს ცნებები მათთვის მხოლოდ თავდასხმის იარაღი და ხელშეუხებლობის გარანტიაა. როგორ ეპყრობოდნენ ისინი ხელისუფლებაში ყოფნისას ადამიანებს და მედიას, ჯერაც კარგად გვახსოვს.

აპატიებს თუ არა მათ საქართველო? არ ვიცი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ამდენი წლის შემდეგ შენდობა უნდა ვთხოვო ვალერი ასათიანს.

შენდობის კვირაა, ვალერი, მაპატიე!

ნანა დევდარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აკადემია ხვალ

აკადემიკოსობის კანდიდატები: გურამ გაბრიჩიძე

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; 1959-2012 წლებში მუშაობდა კირიაკ ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში, სადაც დირექტორიც გახლდათ 15 წლის მანძილზე (1990-2005); ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ (2012 წლიდან) სმეა-ის აკადემიურ საბჭოსთან არსებული „ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის“ სწავლული მდივანია.

გამოქვეყნებული აქვს 140-ზე მეტი მეცნიერული შრომა, დაკავშირებული სამშენებლო სფეროსთან, რომელთაგან ზოგიერთი ეხება მექანიკის ფუნდამენტურ საკითხებსაც. არის აკადემიკოს კირიაკ ზავრიევის სახელობის საакადემიო პრემიის ლაურეატი, მისსავე მოწაფედ თვლის თავს.

დიალოგი

— ბატონო გურამ, ხომ არ შეაფასებდით მეცნიერებაში თქვენს ღვაწლს; ეგებ მშენებლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სამუშაოებიც გაიხსენოთ, რომლებშიც უშუალოდ მონაწილეობდით?

— ყველა გამოკვლევა სამშენებლო დარგს მიეკუთვნება და, თეორიულთან ერთად, პრაქტიკული ღირებულების მატარებელიცაა... სიამოვნებით ვიხსენებ ერთ შრომას, სადაც ნიუტონის კანონს შევბედე და „ცოტა დავაზუსტე“ კიდევაც მისი ფორმულირება. ყველაზე დიდ მიღწევად კი მივიჩნევ ჩემი ხელმძღვანელობით შექმნილ, სეისმომედეგ მშენებლობაში ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს პირველ ეროვნულ ნორმებს, რომლებშიც შევძელი ჩემი კონცეპტუალური შეხედულებების რეალიზება (2010 წელი).

იმ საინტერესო მშენებლობებს რაც შეეხება, რომლებშიც ვმონაწილეობდი, შემიძლია თბილისის სპორტის სასახლის გუმბათის დამონტაჟების დასახელება (როცა, მოგვიანებით, მონტაჟის პროცესში გუმბათში ძაბვების ფორმირების მანამდე უცნობი სურათი დავადგინე); ენგურის თაღოვანი კაშხლის პროექტირებისა და აგების წლების გახსენება (როცა გამოვავლინე ახალი, ეგრეთ წოდებული „წყალსაცავის ეფექტი“, კაშხალში დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე ტრადიციული წარმოდგენის შემცვლელი).

გავიხსენებ აგრეთვე 1991 წლის რაჭის დამანგრეველ მიწისძვრას. მაშინ სახელმწიფო კომისიის წევრი გახლდით და ვმონაწილეობდი დაზარალებულ რეგიონებში აღდგენითი სამუშაოების სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზაციაში.

— რას იტყოდით ქვეყანაში მეცნიერების ამჟამინდელ მდგომარეობაზე?

— წინა სახელისუფლებო ძალებმა სისტემურად შემოგვიტიეს, ჯერ კვლევითი ინსტიტუტები ჩამოაშორეს აკადემიას, მერე მათ ცალ-ცალკე გაუსწორდნენ; ცოტაც და საერთოდ დაგვავიწყდებოდა, რა არის მეცნიერება და იყო თუ არა ოდესმე ჩვენთან... საბედნიეროდ, ახალმა ხელისუფლებამ სწორედ შეაფასა ეს სავალალო სურათი და გვპირდება მდგომარეობის გამოსწორებას.

როგორ? ვფიქრობ, რომ უნდა დავეთანხმოთ პრემიერ-მინისტრთან შექმნილი კომისიის კონცეფციას და დავიწყოთ იმით, რომ მიმოვიხედოთ, როგორც ბრძოლის ველზე (ხატოვანი თქმით) — რა გადარჩა, რა ცოცხლობს, რა ფეთქავს. ლაპარაკია სამეცნიერო პრობლემებზე, მათი განვითარების, გადაწყვეტის შესაძლებლობებსა და აუცილებლობაზე.

ასე მოპოვებული მასალა გაიფილტრება, რაღაცა დაემატება, სისტემურად და ორგანიზაციულად დალაგდება და ამ სახით მიეწოდება საზოგადოებასაც და ხელისუფლებასაც.

ოღონდ ვინ გააკეთებს ამას, ვინ იქნება შემფასებელი თუ დამლაგებელი? ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ დღეს ეს ძალუძს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, უფრო სწორად აკადემიის იმ ნაწილს, რომელიც გადაურჩა (თუ აკადემიის ხელმძვანელობამ გადაარჩინა) სასტიკ შემოტევას.

სასარგებლო და საჭიროცაა ამ პროცესში უცხოელ სპეციალისტთა ჩართვა — მათ ჩვენზე კარგად უწყიან, როგორ უნდა ქვეყნის ბიუჯეტზე რეფორმების მორგება, პროფესურასა და სტუდენტთა რაოდენობას შორის ფარდობა და სხვა; რაც შეეხება სამეცნიერო პრობლემის, მაგალითად, სეისმომედეგი მშენებლობის თეორიული და იდეოლოგიური საფუძვლებისა და ამ მიმართულებით საჭირო კვლევის შეფასებას, საზღვარგარეთელ მეცნიერებს ჩვენ ისეთ სიღრმისეულ პლასტებზე მივუთითებთ, რომლებზეც არც კი უფიქრიათ.

სწორედ ამიტომ, ხელისუფლება უნდა გვენდოს და ჩაგვაბას მეცნიერების რეფორმირების უდიდეს ეროვნულ საქმეში. პასუხისმგებლობა მხოლოდ ჩვენ გვაკისრია. მთავრობამ უნდა გაგვამხნევოს, შეძახილი გვჭირდება და არა დამცირება, დათრგუნვა თუ იგნორირება.

— ბატონო გურამ, პროფესიის მიღმა თქვენს გატაცებებს ხომ არ გაგვანდობთ?

— მიყვარს წიგნი, მხატვრული ლიტერატურა, პოეზია, მუსიკა. ცოტას პიანინოზე ვაბრახუნებ, ცოტას გიტარას ვაწვალებ, ცოტას სიმღერებსაც ვთხზავ... თუმცა, „ჩემთვის ვაჩხაკუნებ, სანატრელო“, მურმან ლებანიძისა არ იყოს.

— თქვენს მასწავლებელს კირიაკ ზავრიევს როგორ გაიხსენებდით?

— როგორც დიდ სწავლულსა და ბრძენ კაცს. საშუალო სიმაღლეზე იფრინეთო, გვმოძღვრავდა: ჩვენი დარგი გამოყენებითი ხასიათისაა, ამიტომ ნურც ძალიან ზემოთ ახვალთ, პრაქტიკას რომ არ მოსწყდეთ, ფორმულებში არ გაიბლანდოთ, და ნურც ძალიან ქვემოთ დაეშვებით, რომ ფუნდამენტურ მეცნიერულ საფუძვლებს არ დაშორდეთო; თან ცისა იყავით, თან მიწისაო!..

ტრაგიკულად დაღუპული აკადემიკოსი მერაბ ალექსიძეც უნდა მოვიგონო, მათემატიკოსი, აბსტრაქტული ცნებებით მოაზროვნე, მაგრამ საოცარი ინჟინრული ალღოს მქონე და ყველაფრის უცბად მიმხვედრი. ფიზიკურად ვგრძნობდი, როგორ შედიოდა მასში, მზერაგამახვილებულში, ახალი ცოდნა. ბევრი რამ მომცა მერაბთან მეგობრულმა და საქმიანმა ურთიერთობებმა...

— ბოლოს, ოჯახიც წარმოგვიდგინეთ, თუ შეიძლება...

— მყავს მეუღლე, ორი შვილი, ექვსი შვილიშვილი... მეუღლე ირა იზაშვილი, სპეციალობით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, მაგიდის ჩოგბურთში საქართველოს ათგზის ჩემპიონი იყო და საკავშირო ნაკრებშიც შედიოდა... ინსტიტუტში ერთად ვმუშაობდით; დირექტორი რომ გავხდი და შტატების შემცირება მომთხოვეს, სხვას ვერ გავუბედე, ირა გავანთავისუფლე და მივაჯაჭვე ოჯახს, — მურმან ლებანიძის ერთი ლექსის თანახმად, „დილეგს“... ჩვენი უფროსი ვაჟი კონსტანტინე, განათლებით ინჟინერ-მშენებელი, უძრავი ქონების საერთაშორისო ექსპერტია; უმცროსი მიხეილი ცნობილი ოფთალმოლოგია.

...იმ ექვსი შვილიშვილისათვის მისურვებია უკეთესი სამშობლოს ქონა და აკადემიკოსი ბაბუის ყოლა.

ლუკა გორგიძე

◎ სკანდალური ინტერვიუ

ოქრუაშვილის რეაბილიტაციის მცდელობა ალასანიას ხარჯზე

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა გადაცემა „ღია ეთერში“ განაცხადა, რომ მას საფრანგეთში უკანონოდ უსმენდნენ.

ოქრუაშვილის ინტერვიუ იმით იყო საინტერესო, რომ მან ორ ძირითად თემაზე ისაუბრა. ერთი იყო უკანონო მოსმენები თავდაცვის სამინისტროდან, ხოლო მეორე — პრეზიდენტი სააკაშვილი რამდენიმე მინისტრის დათხოვნას აპირებს. დანარჩენ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებზეც საზოგადოებაში ოქრუაშვილთან კითხვები არსებობს, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა არაფერი თქვა და განმარტა, რომ ამ საქმეებზე გამოძიება მიმდინარეობს და უკეთესი იქნება, საზოგადოება პროკურატურის მიერ გაკეთებულ დასკვნებს თუ დაელოდება. ასე უპასუხა მან ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვას. ხოლო კიდევ ერთ საქმეზე, რომელთან დაკავშირებითაც ოქრუაშვილის მიმართ კითხვები და ეჭვები არსებობს, კერძოდ, ბუტა რობაქიძის საქმეზე (რომლის მკვლელობის დროსაც ოქრუაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრი იყო), ოქრუაშვილმა განმარტა, რომ მომხდართან დაკავშირებით საქმის კურსში არ იყო და არც ის იცის, შემთხვევის ადგილზე იარაღები იყო თუ არა. ამის დასადასტურებლად თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა პროკურატურას თავისი სიცრუის დეტექტორის საშუალებით დაკითხვა შესთავაზა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ანუ იმის გათვალისწინებით, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა ამ ინტერვიუში მხოლოდ იმ საკითხებზე ისაუბრა, რომელთა გახმაურებაც თავად სურდა, ხოლო საზოგადოებისთვის საინტერესო კითხვებს პრაქტიკულად არ უპასუხა, რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი სწორედ ამ მიზნით ესაუბრა ჟურნალისტ ვახო სანაიას, რომ გარკვეული თემები თვითონ „აეწია“.

აღსანიშნავია, რომ უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას მაშინვე უპასუხა საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა. გადაცემა „მთავარ კითხვაში“ ამ თემაზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ

„თუ მისი მხრიდან ამჟამინდელ მდგომარეობაზეა საუბარი, მისი განცხადება შეუსაბამოა. ახალი ხელისუფლების პირობებში უკანონო მოსმენა ვირუსების მეშვეობით არ მიმდინარეობს და შესაბამისად, თუ მისი განცხადება შეიცავდა ინფორმაციას, რომ ეს ხდებოდა ახალი ხელისუფლების პირობებში, მაშინ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება“, — განაცხადა კბილაშვილმა.

თუმცა, კბილაშვილის განცხადება ოქრუაშვილს უპასუხოდ არ დაუტოვებია და უმალ გამოეხმაურა: **„საქმეების სიმრავლიდან გამომდინარე შესაძლოა მთავარი პროკურორისათვის უცნობია ასეთი გამოძიების შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ გასულ კვირას მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციულ დეპარტამენტში გამომძიებელმა გიორგი მუჯირმა დამკითხა როგორც მოწმე. დაკითხვისას ამოსაცნობად წარმომედგინა თავდაცვის სამინისტროს კომპიუტერიდან ჩხრეკის შედეგად ამოღებული რამდენიმე საუბარი, განხორციელებული ე.წ. სკაიპის მეშვეობით, რომლებიც განხორციელდა ჩემს მიერ საფრანგეთიდან, ჩემი კომპიუტერით, გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში. ანალოგიურ საქმეზე ორი დღის წინ დაიკითხა ჩემი ბიძაშვილი იოსებ გიგუაშვილი და მასაც წარედგინა ასეთი საუბრები ამოსაცნობად.**

ბოლო საუბარი, რომელიც წარმოგვედგინა ორივეს, დათარიღებული გახლდათ 2012 წლის 11 ნოემბრით. თუ ეს ყველაფერი მომეჩვენა და სინამდვილეს არ შეესაბამება, მთავარ პროკურატურას ვთხოვ, გამოაქვეყნოს ჩემი დაკითხვის ოქმი, რაც ნათელს მოჰფენს ყველაფერს“.

ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში ვანო მაჭავარიანი ოქრუაშვილის ამ განცხადების მოსმენის შემდეგ აცხადებს, რომ ირაკლი ოქრუაშვილი თავად პრობლემური ფიგურაა გამომდინარე იქიდან, რომ არსებობს მის მიმართ კითხვები, რომლებიც მისი როგორც შინაგან საქმეთა, ასევე თავდაცვის მინისტრობის პერიოდს ეხება. ამიტომ, ვინაიდან მის მიმართ ეს კითხვები არსებობს, მაჭავარიანის აზრით, ოქრუაშვილი ამ თემებიდან ყურადღების გადატანას ცდილობს.

კითხვაზე, რატომ შეიძლება ჰქონდეს ოქრუაშვილს ალასანიასთან დაუმთავრებელი ანგარიში, ვანო მაჭავარიანი პასუხობს, რომ ირაკლი ოქრუაშვილს კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა არავისთან, გარდა საკუთარი ოჯახის წევრებისა და რამდენიმე მეგობრისა. ამიტომ, მაჭავარიანის თქმით, თუკი ოქრუაშვილს ალასანიასთან არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა, ეს გასაკვირი არ იქნებოდა, თუმცა აქვე განმარტავს, რომ მათი ურთიერთობის დეტალები არ იცის.

მან არ იცის, ვის სჭირდება ირაკლი ოქრუაშვილის რეაბილიტაცია და რატომ იქცევს იგი ამხელა ყურადღებას. მაჭავარიანი ვარაუდობს, რომ შეიძლება ეს მედიის დამსახურებაა, რომელიც ცდილობს, ოქრუაშვილისგან წინა ხელისუფლებასთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაცია მიიღოს.

იხ. 6 გვ.

◎ ინფორმაცია

ქონებაჩამორთმეული ბიზნესმენების სასამართლო განაჩენი გადაიხედება

საძართველოს ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ბიზნესმენების იმ ნაწილს გამოეხმაურა, რომლებიც აცხადებენ, რომ წინა ხელისუფლების პირობებში მათ ქონება ჩამოართვეს.

გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ მას ესმის იმ ადამიანების, ვინც დაიჩაგრა, ქონება ჩამოართვეს ან აჩუქებინეს. კვირიკაშვილის განმარტებით, 4 თვის განმავლობაში მისი სამუშაო დროის უდიდესი ნაწილი აღნიშნული პრობლემების მოგვარებას ეთმობა. თუმცა, მანვე დასძინა, რომ სამინისტროს სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის უფლება არ აქვს.

მისივე განცხადებით, მომავალში იუსტიციის სამინისტროს ეგიდით შექმნილი კომისია სასამართლოს განაჩენებს განიხილავს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ წარდგენა

ვის ერგება „დოქსოპულოს მედალი?“

ახლახან დაფუძნდა ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია „სოციალური და შრომითი უფლებების დაცვის ცენტრი“. რა მიზნებს ისახავს იგი?

ძვეძანაში მიმდინარე პროცესები იმედს იძლევა, რომ საქართველოში დამკვიდრდება ადამიანის თავისუფალი შრომისა და საქმიანობის გარანტიები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობენ ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები, დღემდე თითზე ჩამოსათვლელი არიან ისეთნი, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური და შრომითი უფლებების დაცვაზე იქნებიან ორიენტირებულნი. ჩვენი ორგანიზაცია სწორედ ამ საკითხებზე იმუშავებს, რითაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას.

2006 წელს პარლამენტმა მიიღო უპრეცედენტო შრომის კოდექსი, რომელიც მთლიანად დამსაქმებლების ინტერესებზე იყო ორიენტირებული, რაც ხელისუფლებამ იმით ახსნა, რომ კოდექსი ხელს შეუწყობდა ინვესტიციების მოზიდვას და ბიზნესის გააქტიურებას.

მიღებულმა შრომის კოდექსმა სერიოზული ზიანი მიაყენა დაქირავებულ მუშაკებს და ისინი სრულიად უუფლებო გახადა, შრომის ურთიერთობების საკითხებში საქართველო დააბრუნა ფეოდალურ ხანაში.

უზნეობის მწვერვალად შეიძლება შეფასდეს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1 „დ“ პუნქტის ჩანაწერი, რომელიც დამსაქმებელს აძლევს შრომითი ხელშეკრულების მოშლის უფლებას ყოვლად დაუსაბუთებლად.

ამას გარდა, ქვეყანაში გაუქმდა რამდენიმე ინსტიტუცია — დასაქმების სახელმწიფო სამსახური, შრომის ინსპექცია, მთლიანად იგნორირებულია სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების საკითხები, უგულებელყოფილია უმუშევართა სოციალური დაცვის გარანტიები.

საქართველოს შრომის კანონმდებლობამ მკვეთრად ნეგატიური შეფასება მიიღო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროკავშირისაგან. აღნიშნული კანონი უარყოფითად შეაფასა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა.

ასეთი საკანონმდებლო ბაზის პირობებში ქვეყანის შიგნით მისი კრიტიკა და სოციალური საკითხების წინ წამოწევა ლამის ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებად აღიქმებოდა. დასაქმებულთა სამართლიანი საპროტესტო გამოსვლები კი მთავრდებოდა საპროტესტო აქციის მონაწილეთა დაშინებით, დარბევით და დაკავებითაც.

1 ოქტომბრის შემდეგ დასაქმებულებს გაუჩნდათ საზოგადოებაში სამართლიანობის დამკვიდრების იმედი და აქტიურად დაიწყო საპროტესტო აქციები მოძალადე დამსაქმებელთა წინააღმდეგ.

საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების განვითარებასთან ერთად, იზრდებოდა შრომითი კონფლიქტების მოწესრიგების აუცილებლობაც, რაც გულისხმობს მედიაციის ინსტიტუტის ჩამოყალიბების აუცილებლობას.

სხვა ფაქტორებთან ერთად ამითაცაა განპირობებული ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა.

ორგანიზაცია ძირითადად იმუშავებს შემდეგ საკითხებზე:

— დაქირავებულთა სოციალურ-შრომითი უფლებების დაცვა;

— შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა და კონსულტაციები დამსაქმებელთა და დასაქმებულთათვის;

— შრომითი დავების შემთხვევაში მედიატორული საქმიანობა;

— უმუშევართათვის პროფორიენტაციის, გადამზადების და დასაქმების პროგრამების განხორციელება.

— მონიტორინგის განხორციელება ორგანიზაციებსა და საწარმოებში სოციალურ-ეკონომიკური და შრომითი უფლებების დარღვევების საკითხებზე;

— რეკომენდაციების და წინადადებების შემუშავება ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო ნორმების დასანერგად;

— რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე და სხვ.

ჩვენი ინტერესების სფეროში შედის აგრეთვე მოსახლეობის შემოსავლებისა და შრომის ანაზღაურების სახელმწიფო რეგულირების, კერძოდ მინიმალური ხელფასისა და სამომხმარებლო კალათის განსაზღვრის საკითხები. ჩვენი აქტიური პოზიციის ჩამოყალიბებით ხელს შევუწყობთ ქვეყანაში სოციალური პოლიტიკის შემუშავებას.

ყოველგვარ სისტემურობას იყო მოკლებული შრომის უსაფრთხოების საკითხები. ამ სფეროში მთლიანად იყო იგნორირებული პრევენციული ღონისძიებების გატარება და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხები. როგორც წესი, უბედური შემთხვევის გამომწვევ მიზეზად თვით დაზარალებულის (გარდაცვლილის) გაუფრთხილებლობა სახელდებოდა.

ხშირად ირღვეოდა მომუშავეთა სიცოცხლის უსაფრთხოება. მაგალითად, როდესაც მშენებლები ბაზალტის ქვას ამუშავებდნენ მშრალი მეთოდით, რესპირატორისა და სხვა დამცავი საშუალებების გარეშე. არადა, ბაზალტის ქვის მტვერს შეუძლია გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგები.

ამავე პერიოდში წესად დამკვიდრდა თანამდებობის პირის შეცვლისას, ორგანიზაციებში მომუშავეთა მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა. სამწუხაროდ, ეს პრაქტიკა ახლაც შეინიშნება. ჩვენი ორგანიზაცია მოწოდებულია, გამოავლინოს და საზოგადოებას გააცნოს ასეთი შემთხვევები.

ჩვენ გულისყურით ვადევნებთ თვალს ახალი მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და მივესალმებით არსებულ ბიუჯეტში პრიორიტეტების გადანაწილების ხარჯზე სოციალური ხარჯების მნიშვნელოვან ზრდას.

ჩვენ სერიოზულ ყურადღებას დავუთმობთ მონიტორინგს სამსახურიდან უკანონო გათავისუფლებებთან დაკავშირებით. ადამიანის სამსახურიდან გათავისუფლება ნიშნავს იმას, რომ ოჯახი რჩება ულუკუმაპუროდ, უშემოსავლოდ, იმ ფონზე, როცა ქვეყანაში მაღალია უმუშევრობის მაჩვენებელი და სამუშაოზე მოწყობის პრაქტიკულად არანაირი შანსი არ არსებობს. გათვალისწინებული გვაქვს იმ ხელმძღვანელთა გალერეის შექმნა, რომლებისთვისაც ადამიანი არაფერია, ვფიქრობთ „დოქსოპულოს მედლის“ დაწესებას, რომლის ნიმუში უკვე შემუშავებული გვაქვს...

ირაკლი ტულუში

◎ სკანდალური ინტერვიუ

ოქრუაშვილის რეაბილიტაციის მცდელობა ალასანიას ხარჯზე

(მეხუთე გვერდიდან) მეორე თემა, რომელზეც ირაკლი ოქრუაშვილმა სატელევიზიო ინტერვიუში აქცენტი გააკეთა, იყო ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. კითხვაზე, ხომ არ აპირებს მიხეილ სააკაშვილი, რომ მთავრობა და პარლამენტი დაითხოვოს, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა უპასუხა, რომ იგი ამას არ გააკეთებს, რადგან იცის, რომ ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში ხმათა იმ ოდენობასაც ვერ მიიღებს, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ ახლა აქვს, მაგრამ ამავე დროს განაცხადა, რომ პრეზიდენტი რამდენიმე მინისტრის გადაყენებას და მათ ადგილას მისთვის სასურველი მინისტრების დანიშვნას გეგმავს. ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ სააკაშვილი თეა წულუკიანის, ირაკლი ღარიბაშვილის და შესაძლოა, მაია ფანჯიკიძის დათხოვნას გეგმავს.

იმის გასარკვევად, აქვს თუ არა უფლება პრეზიდენტს, რომ რამდენიმე მინისტრი დაითხოვოს და მათ ადგილას თავისთვის სასურველი კანდიდატები დანიშნოს, კონსტიტუციონალისტ ირაკლი კობახიძეს ვესაუბრეთ. მისი განმარტებით, პრეზიდენტს აქვს უფლება, გადააყენოს მთავრობა, ან მხოლოდ ძალოვანი მინისტრები — შინაგან საქმეთა, თავდაცვის და იუსტიციის მინისტრები. ამდენად, სააკაშვილს ან მთელი მთავრობის, ან სამი ძალოვანი მინისტრიდან სამივეს, ან თუნდაც ორის გადაყენება შეუძლია. რაც შეეხება დანარჩენ მინისტრებს, კობახიძის განცხადებით, თუკი პრეზიდენტი მთავრობას არ დაითხოვს და მხოლოდ ძალოვან მინისტრებს გადააყენებს, მას სხვა მინისტრების გადაყენების უფლება არ აქვს. ასევე ძალოვან მინისტრებად მისთვის სასურველი კანდიდატების დანიშვნის უფლებაც არ აქვს.

მისი თქმით, შესაბამისად, პრეზიდენტი ძალოვან მინისტრებს ვერ დანიშნავს. მას მხოლოდ ის შეუძლია, რომ პრემიერის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურები დაბლოკოს.

საინტერესოა ისიც, რომ ირაკლი ოქრუაშვილი არის იურისტი და როდესაც სატელევიზიო ეთერში ასეთ მნიშვნელოვან განცხადებას აკეთებს, მას ალბათ, უნდა სცოდნოდა, რომ პრეზიდენტს შესაბამისი უფლებამოსილება არ აქვს. ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ აქ ორ ვარიანტზე შეიძლება ვიფიქროთ. ერთია ის, რომ შესაძლოა, ოქრუაშვილს გამორჩა, რომ პრეზიდენტს საგარეო საქმეთა მინისტრის გადაყენების უფლება არ აქვს, ხოლო ძალოვანი მინისტრების დათხოვნის შემთხვევაში მისთვის სასურველ კანდიდატებს ვერ დანიშნავს. მეორე ვარიანტი კი ის არის, რომ შესაძლოა, მას ასეთი განცხადებების გაკეთებისას გარკვეული პოლიტიკური მოტივი ამოძრავებდა, ანუ შეიძლება მან ეს იცოდა, მაგრამ ასეთი განცხადების გაკეთება აწყობდა. კონსტიტუციონალისტი ვერც ერთ ვარიანტს ვერ გამორიცხავს.

და ბოლოს, რაც შეეხება ირაკლი ალასანიას უწყების მიმართ უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით წაყენებულ ბრალდებებს, თავად თავდაცვის მინისტრი და მისი პრესსპიკერი საქართველოში არ იმყოფებიან და ამიტომ მათთან დაკავშირება ვერ მოხერხდა, თუმცა for.ge კომენტარისთვის ალასანიას გუნდის წევრს, დეპუტატ ზურაბ აბაშიძეს დაუკავშირდა. აბაშიძე ამბობს, რომ ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებებზე სერიოზულად რეაგირება საჭირო არ არის.

ნინო ულენტი

◎ ალიან-ჩალიანი

ვინ დაუმალა დაზარალებულ გორელებს საყოფაცხოვრებო ტექნიკა?

გორში 2008 წლის ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის განკუთვნილი დიდი რაოდენობის საყოფაცხოვრებო ტექნიკა აღმოაჩინეს. როგორც „ინტრეპრესნიუსის“ კორესპონდენტი გორიდან იუწყება, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლებმა რამდენიმე სასაწყობე ფართს მიაკვლიეს, სადაც მაცივრები, ტელევიზორები, გაზქურები და საყოფაცხოვრებო ავეჯი ინახებოდა.

ტექნიკის დიდი ნაწილი წლების განმავლობაში არასათანადო პირობებში შენახვის გამო, მწყობრიდან გამოსულია.

გორის გამგებლის პაპუნა კობერიძის განცხადებით, ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა რთულ პირობებში ცხოვრობს. მათ უმრავლესობას საყოფაცხოვრებო ტექნიკა არ გააჩნია და აღმოჩენილი ტვირთით საგამოძიებო უწყებები უნდა დაინტერესდნენ.

იპოვეს საიდუმლო სარდაფები

გორის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში დღემდე უცნობი სარდაფები აღმოაჩინეს. როგორც „ინტრეპრესნიუსის“ რეგიონული კორესპონდენტი გორიდან იუწყება, ამის შესახებ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორმა ლექსო ვალიაურმა განაცხადა.

— ჩემივე თანამშრომლებისგან ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული სარდაფების გასაღებები არაოფიციალურად პოლიციის თანამშრომლებს ჰქონდათ გადაცემული. უკვე ცნობილია ისიც, რომ პერიოდულად აღნიშნულ სარდაფებში გაურკვეველი პირები შედიოდნენ. ვეჭვობთ, რომ გასული წლის გაზაფხულიდან ოქტომბრამდე ამ სარდაფებს საეჭვო დანიშნულებით იყენებდნენ. გასაღებები დღემდე დაბრუნებული არ არის, — განაცხადა ვალიაურმა და აღნიშნა, რომ ამ ფაქტზე პროკურატურას უკვე მიმართა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გამოიცა

გამომცემლობა „უნივერსალმა“ ამ დღეებში მეტად საყურადღებო წიგნი მიაწოდა მკითხველს: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გრიფით გამოვიდა სამართლის დოქტორის ევა გოცირიძის წიგნი: „იმპიჩმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში: კონსტიტუციური დილემები“. წიგნის რედაქტორი და ერთ-ერთი შესავალი წერილის ავტორი გახლავთ საერთაშორისო სამართლის პროფესორი ლევან ალექსიძე, წიგნს ასევე ერთვის უეინის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების რობერტ ა. სედლერისა და ედვარდ ჯ. ლითლჯონის, უეინის უნივერსიტეტის პრეზიდენტის დეივიდ ვ. ადამენისა და სამართლის სკოლის დეკანის ჯეიმს ქ. რობინსონის შეფასებები.

რა მიზანს ისახავს იმპიჩმენტი?

სამართლის დოქტორის ევა გოცირიძის ახალი წიგნი - „იმპიჩმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში: კონსტიტუციური დილემები“



წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: **„ჩვენ განვიხილეთ ქ-ნი ევა გოცირიძის სადისერტაციო ნაშრომი — „იმპიჩმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში: კონსტიტუციური დილემები“. ასეთი ნაშრომის შექმნა მეცნიერის მიერ, რომელიც ამერიკული სამართლებრივი სივრცის გარეთ მოღვაწეობს, მართლაც რომ, შთამბეჭდავია...**

ქ-ნმა ევამ ამერიკული იმპიჩმენტის პრობლემატიკა კლასიკურად დაამუშავა. ამავე დროს სხვადასხვა კონსტიტუციურ საკითხებზე მსჯელობისას იგი ახლებურ პოზიციებს აყალიბებს. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ მისი ანალიტიკური შესაძლებლობებითა და შეუვალი ლოგიკური მსჯელობებით, რასაც ის თავისი პოზიციების დასაბუთებისთვის იყენებს. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო ნაშრომის მოცულობამ, არამედ, რაც მთავარია, მისმა ხარისხმა. ქ-ნი ევა გოცირიძე გახლავთ აკადემიური ყაიდის დახვეწილი მეცნიერი, მომხიბლავი და გულისხმიერი კოლეგა. მან თავისი ქვეყნის, საქართველოს შეუდარებელი დესპანობა გასწია ამერიკის შეერთებულ შტატებში... ჩვენ უეინის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლავაც ხალისით შევეგებებით ქართველ წარმომადგენლებს“.

სამართლის დოქტორი ევა გოცირიძე თავის ახალ ნაშრომში — „იმპიჩმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში: კონსტიტუციური დილემები“ — სრულ წარმოდგენას გვიქმნის იმპიჩმენტზე. ვინაიდან ჩვენს სინამდვილეშიც გახმაურდა თემა — პრეზიდენტ სააკაშვილის იმპიჩმენტის თაობაზე, შევეცდებით, წიგნის დახმარებით ავხსნათ ის ზოგადი თავისებურებანი, რაც ამ პროცესს ახასიათებს. მართალია, დეპუტატების უმრავლესობა დღეს მიზანშეწონილად არ მიიჩნევს იმპიჩმენტის გზით პრეზიდენტის გადაყენებას, არიან ადამიანები, რომლებიც ამ იდეას დღემდე ლობირებენ და ის ყველაზე მარტივ და სამართლიან პროცედურად მიაჩნიათ.

როგორც წიგნის წინასიტყვაობაში ქალბატონი ევა გოცირიძე წერს, იმპიჩმენტი მე-14 საუკუნის ინგლისიდან იღებს სათავეს, თუმცა, თვით იმპიჩმენტის იდეა კიდევ უფრო ძველია. იმპიჩმენტის მეცნიერული პრობლემატიკის კვლევა განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც საქართველოს კონსტიტუციამ იმპიჩმენტის გზით ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა გადაყენების წესი შემოიღო.

ტერმინი „იმპიჩმენტი“ (impeachment) წარმოდგება ინგლისური სიტყვიდან impede (წინააღმდეგობის გაწევა, ხელის შეშლა, დაკავება), რომლის ეტიმოლოგია, თავის მხრივ, ეფუძნება ლათინურ სიტყვა empecher (თავიდან აცილება). იმპიჩმენტის არსს მისი მიზანდასახულობა განსაზღვრავს, რაც, თავის მხრივ, ხელისუფლების მიზნებით არის ნაკარნახევი. საზოგადოდ, იმპიჩმენტის მექანიზმის ჩამოყალიბება განპირობებულია ხელისუფლების განშტოებათა შორის ჰარმონიზაციის საჭიროებით. იმპიჩმენტი ასრულებს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა გაკონტროლებისა და მათზე ზემოქმედების ფუნქციას: წარმოადგენს უმთავრეს დამაბალანსებელ მექანიზმს საპრეზიდენტო ვეტოსა და სასამართლო კონტროლის საპასუხოდ. ამიტომ იმპიჩმენტის მიზანი იგივეა, რაც ხელისუფლების განაწილების მიზანი. რადგან ხელისუფლების განაწილება არის სისტემა, შექმნილი იმისთვის, რომ **„არცერთ განშტოებას არ შეეძლოს ზედმეტი ძალაუფლების მოპოვება ან ინდივიდუალურ თავისუფლებათა ხელყოფა“.** იმპიჩმენტის მექანიზმის არსი ამ გენიალური მიზნით არის ნაკარნახევი.

როგორც ქალბატონი ევა აღნიშნავს, იმპიჩმენტისთვის პოლიტიკური ხასიათი ორგანულია, თანდაყოლილია. ამ გარემოებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იმპიჩმენტის საფუძვლები ყველგან და ყოველთვის — ინგლისშიც, კოლონიურ შტატებშიც და რესპუბლიკურ ამერიკაში იყო და არის პოლიტიკური მნიშვნელობის დარღვევა — არა ნებისმიერი დანაშაული ან სხვა (თუნდაც სერიოზული) დარღვევა, არამედ სახელმწიფოსა და მისი კონსტიტუციის წინააღმდეგ მიმართული ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სიკეთეს ხელყოფს“. საქმე ისაა, რომ იმპიჩმენტის საფუძვლების განსაზღვრისას გამოყენებული ტერმინოლოგია, ფაქტობრივად, სისხლისსამართლებრივია: მაგრამ, მათში ჩვეულებრივი სისხლისსამართლებრივი გაგება კი არ იგულისხმება, არამედ — პოლიტიკური.

აშშ-ს სენატში სულ 15 იმპიჩმენტის პროცესი შედგა. მათ შორის 12 — ფედერალურ მოსამართლეთა მიმართ; 2 — აშშ-ს პრეზიდენტების — ენდრიუ ჯონსონისა(1867-1868 წლები) და ბილ ქლინტონის (1999 წელი) მიმართ.იმპიჩმენტის საქმე აღძრული იყო პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის მიმართაც (1974 წელი), მაგრამ ის მანამდე გადადგა, სანამ ბრალს ოფიციალურად წაუყენებდნენ. აშშ-ს ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ კონგრესს იმპიჩმენტის უფლება ბოროტად გამოეყენებინა, ან რაიმე უხეში დარღვევა ჩაედინა. ფატალური შემთხვევა ის იქნებოდა, რომ ყოფილიყო შემთხვევა კორუმპირებული პირი თანამდებობაზე დარჩენილიყო გადაყენების კონსტიტუციური მექანიზმის უუნარობის გამო...

როგორია იმპიჩმენტის ქართული კონსტიტუციური მექანიზმი?

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ დააფუძნა იმპიჩმენტის გზით პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა მაღალი თანამდებობის პირების თანამდებობიდან გადაყენების წესი. იგი უშუალოდ უკავშირდება ამ კონსტიტუციით საპრეზიდენტო რესპუბლიკური მმართველობის შემოღებას, რამდენადაც იმპიჩმენტი სწორედ მმართველობის ამ მოდელს მიესადაგება.

მუხლი 75. პუნქტი 2: „პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში პარლამენტს შეუძლია კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და კანონით დადგენილი წესით თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი“.

იმპიჩმენტის მექანიზმი საქართველოში პრაქტიკულად ჯერ არ აუმოქმედებიათ. წიგნის ავტორის აზრით, ეს ან საკუთრივ იმპიჩმენტის მექანიზმის მოდელის არაეფექტიანობით შეიძლება აიხსნას, ან — საკუთრივ პარლამენტართა შორის შესაბამისი პოლიტიკური ნების არარსებობით, მათი პოლიტიკური მოუმზადებლობითა და უუნარობით, საზოგადოების წინაშე პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაბალი ხარისხით, ანდა — ყველა ამ საფუძვლით ერთდროულად. ის ფაქტი, რომ იმპიჩმენტის მექანიზმი, ხელისუფლებაში ფესვგადგმული კორუფციის (მათ შორის ელიტური კორუფციის) თუ სხვა სახელისუფლო დანაშაულის მიუხედავად, 1995 წლიდან მოყოლებული დღემდე, ჯერ არ გამოუყენებია საქართველოს პარლამენტს ხელისუფლებისგან შეუფერებელ პირთა ჩამოსაცილებლად, უკვე პირდაპირი დადასტურებაა იმ გარემოებისა, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების (მათ შორის, იმპიჩმენტის) არსებობა სრულიად არ არის საკმარისი. მათ ქმედითობას ქვეყანაში საერთო პოლიტიკური და სამართლებრივი გარემო, დემოკრატიის განვითარების, სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურის, ისევე როგორც ხელისუფლებაში მყოფ პირთა მიერ ხალხის წინაშე მათი პოლიტიკური ანგარიშვალდებულებიანობის შეგრძნების არსებული დონე განაპირობებს.

ქალბატონი ევას აზრით, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული იმპიჩმენტი, ამერიკულისაგან განსხვავებით, არ არის პოლიტიკური. პარლამენტისეული შეფასებით არ წყდება ის საკითხი, ჩაიდინა თუ არა პირმა ესა თუ ის ქმედება და, თუ ჩაიდინა, არის თუ არა ეს ქმედება იმპიჩირებადი დარღვევა. პარლამენტის გადაწყვეტილება სასამართლო ხელისუფლების დასკვნებს ეყრდნობა, ხოლო იმპიჩმენტის პროცედურაში სასამართლო ხელისუფლების ჩართვა, თავისთავად, მთლიანად უცვლის იმპიჩმენტს ხასიათს, ნიადაგს აცლის მის თანდაყოლილ „პოლიტიკურობას“. **თუმცა, ყველაზე საინტერესო ისაა, რომ პარლამენტს უფლება აქვს, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის მიუხედავად, არ გადააყენოს თანამდებობის პირი. გაუგებარია, რა პოლიტიკური მოსაზრებით შეიძლება იყოს ნაკარნახევი პრეზიდენტისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირების ხელისუფლებაში შენარჩუნება, როდესაც სასამართლოს დასკვნით დადასტურებულია მათ მიერ სიტუაციის დარღვევა, ან მათ ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა?** სამწუხაროა რომ, იმპიჩმენტის პოლიტიკური ბუნება და მასზე საკანონმდებლო ხელისუფლების პრეროგატივა საქართველოში პარლამენტისთვის თანამდებობის პირთა დასაბუთებული გადაყენებისა თუ პირიქით — ხელისუფლებაში მათი დაუსაბუთებელი შენარჩუნების უფლების მინიჭებად „ითარგმნა“.

ქალბატონი ევას რეკომენდაციები ასეთია: ან იმპიჩმენტის ამერიკული მოდელი უნდა იქნეს შემოღებული, რომელიც არ ითვალისწინებს სასამართლო ხელისუფლების ჩართვას ამ მექანიზმში, ან შემუშავებული იქნეს ახალი, ღრმად გააზრებული და ქმედითი მექანიზმი, რომელიც სამართლიანობისა და კანონიერების საკმარისი გარანტიებით იქნება აღჭურვილი. ამის გარდა, საკუთრივ იმპიჩმენტის მექანიზმის გაუმჯობესებისა, აუცილებელია იმპიჩმენტის საფუძვლების ახლებური გააზრება იმ კრიტერიუმის გამოყენებით, თუ რამდენად უკარგავს თანამდებობის პირს შესაბამისი ქმედების ჩადენა ხალხის ნდობას, რითაც იგი უნდა სარგებლობდეს დემოკრატიულ სახელმწიფოში...

თეა მოსია

◎ ალიან-ჩალიანი

სამუდამო პატიმრობაში მყოფი გვიჩიანისა და ჩემიას საქმე უნდა გადაიხედოს

კომპანია „თელასის“ მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობის ბრალდებით სამუდამო პატიმრობაში მყოფი გია გვიჩიანისა და ნიკა ჩემიას ადვოკატებმა სააპელაციო სასამართლოს საქმის გადახედვის მოთხოვნით მიმართეს.

ადვოკატებმა გელა ნიკოლაიშვილმა და ირმა ჭკადუამ სააპელაციო სასამართლოში განცხადება შეიტანეს და, ახალი გარემოებებიდან გამომდინარე, საქმის ხელახლა გადახედვა მოითხოვეს.

ამასთან, ადვოკატების თქმით, საქმეს დაერთვება ამერიკის ფედერალურ ბიუროში ჩატარებული დნმ-ის ანალიზი, რომელიც აბსოლუტურად უარყოფს გია გვიჩიანისადმი ბრალდებას , თითქოს ის მკვლელობის შემკვეთი იყო.

კერძოდ, ადვოკატების ცნობით, ანალიზის შედეგად, მკვლელობის ბრალდებით გასამართლებული ხერკილაძისა და პაპაჩაშვილის თმის, ნერწყვისა და თითის ანაბეჭდები მკვლელობის ადგილას არ აღმოჩნდა.

როგორც ირმა ჭკადუამ განაცხადა, გია გვიჩიანი, რომელიც უკვე შვიდი წელია, პატიმრობაში იმყოფება, სააპელაციო სასამართლოში შეტანილ დღევანდელ საჩივარს ერთგვარ ტესტად მიიჩნევს — გათავისუფლდა თუ არა სასამართლო გარკვეული მარწუხებისგან.

გელა ნიკოლაიშვილის განმარტებით, ორი კვირის ვადაში სააპელაციო სასამართლომ ადვოკატებს უნდა აცნობოს, მიიჩნევს თუ არა დასაშვებად საჩივარს, რის შემდეგაც საქმის არსებითი განხილვა უნდა დაიწყოს.

ამასთან, ცნობილი ხდება ისიც, რომ საქმის მთავარმა მოწმეებმა ჩვენება შეცვალეს, თუმცა, ადვოკატები ამ თემაზე ჯერ ღიად არ საუბრობენ.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სააკაშვილისთვის უფლებამოსილებათა ჩამორთმევა 22 მარტისთვის დანიშნეს

„ქართული ოცნება“ მიდის რისკზე, როდესაც კენჭისყრაზე კონსტიტუციაში ანტისაპრეზიდენტო ცვლილებებს აყენებს

საქართველოს პარლამენტი 22 მარტს კენჭს უყრის პოლიტიკური სხოვრებისთვის საკვანძო საკითხს – პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საკონსტიტუციო უფლებათა შეზღუდვის შესახებ. ასეთი გადაწყვეტილება დეპუტატებმა 18 მარტის სხდომაზე მიიღეს.

სახელმწიფოს მეთაური საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემდეგ ვერ შეძლებს ერთპიროვნულად დაითხოვოს პარლამენტი, გადააყენოს მთავრობა და დანიშნოს თავის წინაშე ანგარიშვალდებული კაბინეტი. ამ ინიციატივის რეალიზაციისთვის „ქართულმა ოცნებამ“ (მას 85 დეპუტატის მანდატი აქვს) პირველად უნდა მოაგროვოს სულ ცოტა 100 ხმა 150-დან. ესე იგი, მიიღოს სულ ცოტა 15 პარლამენტარის მხარდაჭერა პროპრეზიდენტული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“. „მეოცნებენი“ ამტკიცებენ, რომ დასახულ ამოცანას შეასრულებენ.

ჩვენი მონაცემებით, კენჭისყრის წინ სპეციალურ განცხადებას გააკეთებს თავად სააკაშვილი.

მმართველ კოალიციას აქვს საფუძველი, იჩქაროს. მოქმედი ძირითადი კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტს აპრილის ბოლომდე აქვს უფლება მოიქცეს, პრემიერ-ბიძინა ივანიშვილის სიტყვებით, როგორც „საკონსტიტუციო დიქტატორი“. პარლამენტის არჩევნებიდან ნახევარი წლის შემდეგ და სახელმწიფოს ახალი მეთაურის არჩევამდე ექვსი თვით ადრე მას შეუძლია, დაითხოვოს მთავრობა, გამოაცხადოს პარლამენტის ვადამდელი არჩევნების შესახებ და მინისტრების პოსტზე დანიშნოს თავისი ხალხი.

„ქართულ ოცნებას“, რომელმაც შარშან 1 ოქტომბრის არჩევნებზე მიიღო ხმების 54 პროცენტი სააკაშვილის პარტიის 40 პროცენტის წინააღმდეგ, რიგგარეშე არჩევნებისა არ ეშინია. მაგრამ მისთვის – ჩამოართვას პრეზიდენტს ეს პრივილეგია და შეინარჩუნოს მოქმედი მთავრობა – პრინციპულია.

– დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მოვაგროვებთ 100 და მეტ ხმასაც, – განაცხადა ჩვენთან საუბარში დეპუტატმა „ქართული ოცნებიდან“ კობა დავითაშვილმა.

სააკაშვილი რეგულარულად მკაცრად აკრიტიკებს მთავრობას, თუმცა ამავე დროს რამდენჯერმე მოახდინა იმის დეკლარირება, რომ არ აქვს განზრახული, გადააყენოს იგი და დანიშნოს ახალი კენჭისყრა. თუმცა, მის სიტყვებს მმართველი კოალიცია არ ენდობა. მით უმეტეს, რომ 19 აპრილს თბილისში დანიშნულია „ნაციონალების“ მიტინგი, და „ქართული ოცნება“ არ გამორიცხავს, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს მისთვის ნეგატიური მოვლენები.

„კონსტიტუციის შენარჩუნება ამჟამინდელი სახით – არის კატასტროფა თავად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისთვის, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა. – ცვლილებებს თუ არ დაუჭერენ მხარს, ისინი გააღიზიანებენ საქართველოსაც, და მთელ დემოკრატიულ სამყაროსაც. ეს მათი პოლიტიკური დამარცხება იქნება.

მაგრამ „ქართული ოცნება“ მიდის გარკვეულ რისკზე: იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოაგროვებს გადაწყვეტილებისთვის საჭირო ხმების ოდენობას, ეს ნეგატიურად აისახება მის იმიჯზე. მაშინაც კი, თუ სააკაშვილი შეასრულებს დანაპირებს და არ დაითხოვს პარლამენტს. ადრე საქართველოს მეთაურმა განაცხადა, რომ არ არის წინააღმდეგი ცვლილებებისა ძირითად კანონში, თუმცა ზოგიერთი პირობის დაცვით. ჯერ ერთი, კონსტიტუციაში დაფიქსირებული უნდა იყოს საქართველოს კურსი ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე. მეორეც, „ქართულმა ოცნებამ“ არ უნდა დააყენოს საკითხი პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში დაბრუნების შესახებ. ამას გარდა, სააკაშვილი მოითხოვს თავისი პარტიის წევრების „პოლიტიკური დევნის შეწყვეტას“.

– საუბრები იმის შესახებ, რომ, თუ მხარს არ დაუჭერენ ცვლილებებს, „ნაციონალები“ საქმეს საკუთარ პოლიტიკურ კატასტროფამდე მიიყვანენ, უპასუხისმგებლოა. ეს აშკარა შანტაჟი და ჩვენი პარტიის წევრებზე ზემოქმედებაა „ქართული ოცნების“ მხრიდან. ასეთი ხერხებით ვერაფერს მიაღწევენ, – განაცხადა ჩვენთან საუბარში დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ნუგზარ წიკლაურმა. – დარწმუნებული ვარ, რომ კენჭისყრამდე თავად სააკაშვილი გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, და სწორედ ეს გახდება განმსაზღვრელი მომენტი, – მოხდება თუ არა საკონსტიტუციო ცვლილებები.

აქამდე „ქართული ოცნება“ იმ გადაწყვეტილებათა მიღების დროს, რომლებიც ამცირებენ პრეზიდენტის უფლებამოსილებებს, სასურველს აღწევდა ჩვეულებრივი უმრავლესობით. ასე დაკარგა სააკაშვილმა კონტროლი სახელმწიფო დაცვის სამსახურზე. ყველაზე მტკივნეული დარტყმა პრეზიდენტმა შარშან წლის ბოლოს მიიღო. მაშინ „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო მისი ვეტოს დაძლევა კანონზე „ამნისტიის შესახებ“, რომლის თანახმადაც რამდენიმე ათას პატიმარს შეუმცირდა ციხეში ყოფნის ვადები. თითქმის 200 მათგანი გამოცხადდა „სინდისის პატიმრად“, მათ შორის, რვა, რომლებსაც ბრალი ედებოდათ ჯაშუშობაში რუსეთის სასარგებლოდ.

ИЗВЕСТИЯ

საქართველომ მალიში ბრძოლის მიწვევა მიიღო

საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩაერთოს ევროკავშირის მისიაში მალიში, განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ. ბიძინა ივანიშვილის კაბინეტმა მიწვევა მიიღო უცხოეთის საქმეთა საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის კეტრინ ეშტონისგან შარშან წლის ბოლოს, მაგრამ ამ უკანასკნელ პერიოდამდე ეს საიდუმლოდ რჩებოდა. თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის სიტყვებით, ამჟამად ზუსტდება ქართველების ამ ოპერაციაში მონაწილეობის დეტალები.

აფრიკაში ევროკავშირის მისიის ფარგლებში გადაისვრიან სამხედრო ინსტრუქტორებს, მედიკოსებსა და ლოგისტიკის დარგის სპეციალისტებს

საქართველოს აქვს მშვიდობისმყოფელის გამოცდილება კოსოვოსა და ერაყში, აგრეთვე ავღანეთში, სადაც ნატოს ეგიდით 1675 ქართველი მშვიდობისმყოფელი მსახურობს. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც არ არიან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები. ავღანეთში 19 ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მალიში საქართველო სამხედრო ქვედანაყოფებს არ გაუშვებს, შემოიფარგლება მხოლოდ მრჩეველებითა და სამხედრო ინსპექციით.

– აფრიკაში გაიგზავნებიან სამხედრო მედიკოსების, ლოგისტიკის დარგის სპეციალისტების ჯგუფები, აგრეთვე, სამხედრო ინსტრუქტორები, – განაცხადა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში თავდაცვის ეროვნული აკადემიის ყოფილმა რექტორმა გიორგი თავდგირიძემ. – ჩვენ გვყავს კარგი ოფიცრები, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობდნენ, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საერთაშორისო სამხედრო მისიებში. მათი გამოცდილება შეიძლება სასარგებლო იყოს მალიში.

მისი სიტყვებით, არის მედლის მეორე მხარეც: ქართველმა სამშვიდობოებმა საჰარის უდაბნოში შეიძლება მიიღონ ძვირფასი გამოცდილება, როდესაც ექნებათ ურთიერთობანი კოლეგებთან სხვა ქვეყნებიდან. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, რომელიც ისწრაფვის ნატოსკენ და მოჰყავს შეიარაღებული ძალები ამ ბლოკის სტანდარტების შესაბამისობაში, მიაჩნია თავდგირიძეს.

ოფიციალური პირები თავდაცვის სამინისტროში ჯერჯერობით არ ჩქარობენ, დაასახელონ თავისი წარმომადგენლების მალიში გაგზავნის თარიღი. მათი სიტყვებით, მიმდინარეობს ევროპელ პარტნიორებთან შეთანხმების პროცესი. მასში მონაწილეობენ თავდაცვის უწყება, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ევროპისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საქმეთა სახელმწიფო მინისტრის აპარატი. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დაგვიდასტურა, რომ „საკითხი შეეხება მრჩევლებს, ექსპერტებს, მაგრამ არა მასშტაბურ სამხედრო მონაწილეობას“.

ირაკლი ალასანიას სიტყვებით, მალიში სამშვიდობო ოპერაციებში ჩართვა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება. ეს ხელს შეუწყობს ევროპასთან, უშიშროების მის სტრუქტურებთან დაახლოებას. ამჟამად მალიში თავისი წარმომადგენლები უკვე გაგზავნა ევროკავშირის 16 ქვეყანამ.

– დასავლეთი საქართველოს ახალ მთავრობას ერთგვარად რენტგენში ატარებს. მთავარი საკითხი – ეს არის შეინარჩუნებს თუ არა იგი კურსს ევროპული, ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ? ქართველი ჯარისკაცების გაგზავნა „ცხელ წერტილებში“ – დიდი არაფერია სასიხარულო. მაგრამ ეს აუცილებელია იმის დემონსტრაციისთვის, რომ ივანიშვილის კაბინეტი ერთგულია ევროკავშირისა და ნატოსკენ მიმავალი კურსისა, – განაცხადა საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრის“ ხელმძღვანელმა გიორგი ხუციშვილმა.

2008 წლის ომის შემდეგ ევროკავშირი არის ერთადერთი გაერთიანება, რომელსაც ჰყავს თავისი მეთვალყურეები საქართველოში, აფხაზებთან და ოსებთან საზღვრებზე. ეუთოს მისიისა და გაეროს მუშაობა კონფლიქტის შემდეგ შეწყდა. საქართველო რეგულარულად მიუთითებს ევროკავშირის წარმომადგენლებთან სიტუაციის მონიტორინგის ღირებულებაზე. თბილისის პოლიტიკურ წრეებში გამოითქმებოდა ხოლმე აზრი, რომ მომავალში ევროკავშირის მშვიდობისმყოფელები შეიძლებოდა გამოჩენილიყვნენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში წესრიგის უზრუნველყოფისა და ლტოლვილთა უშიშროების გარანტიის უზრუნველყოფისთვის, თუ ისინი დაიწყებენ დაბრუნებას.

მაგრამ გიორგი ხუციშვილი ამბობს, რომ „ეს მეტად შორეული პერსპექტივაა“.

– აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების დაჩქარება შეუძლია მხოლოდ საქართველოს რუსეთთან ინტენსიურ დიალოგს, – გვითხრა ექსპერტმა.

მალიში ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობის განხილვის პარალელურად ივანიშვილის მთავრობა ფიქრობს იმის შესახებაც, თუ რა სარგებელი შეუძლია მოიტანოს ქართულმა მხარემ ავღანეთში იქ 2014 წელს ნატოს მისიის დამთავრების შემდეგ. საბოლოო გადაწყვეტილება ჩამოყალიბებული იქნება ივნისისთვის, როდესაც საქართველოში ჩავა ალიანსის საბჭოს დელეგაცია ნატოს წევრი ქვეყნების ელჩების დონეზე.

ИЗВЕСТИЯ

დედამიწის ზურგზე

„გუგლიმ“ შემოგვთავაზა ვირტუალური ტური მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალებზე, მარსმავალმა კი გადაიღო მთა, რომელიც ევერესტზე დიდია

„გუგლი სტრიტ ვიუმ“ გამოაქვეყნა პანორამული სურათები ევერესტისა აზიაში, კილიმანჯაროსი აფრიკაში, იალბუზისა ევროპაში და აკონკაგუასი სამხრეთ ამერიკაში. ამისთვის „გუგლის“ გუნდს მოუწია ასულიყო ამ მწვერვალებზე. ამ დროს მარსმავალმა „კურიოსიტიმ“ გამოგზავნა პანორამული სურათები შარბის მთისა, რომელიც დედამიწის ნებისმიერ მთაზე მაღალია.

* * *

ბერეზოვსკი ვალებში გაიჭედა – ჰყიდის უორპოლს, საკოლექციო „როლს-როისს“ და ცალკე სახლებს

„წითელ ლენინს“ გამოიტანენ აუქციონზე, წინასწარი შეფასება 30-დან 50 ათას გირვანქა სტერლინგამდეა. ის ასევე ხურავს თავის ოფისს ლონდონის მეიფერის რაიონში და ათავისუფლებს თავისი ხელქვეითების ნაწილს. ბრიტანეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: ეს სასამართლოში წაგებული უკანასკნელი საქმეების შედეგია – აბრამოვიჩისა და ყოფილი ცოლების წინააღმდეგ.

* * *

ეგვიპტეში ორი დაღუპულისა და ერთი დაბრმავებული რუსეთელის საძმე: ნათესავები თანახმანი არ არიან ექსპერტიზის დასკვნებისა

ოჯახი ბოქსიტოგორსკიდან ჰურგადში ისვენებდა. მათ სასტუმროს ნომერში შეუკვეთეს სპირტიანი სასმელები, რათა აღენიშნათ დასვენების დამთავრება. წინასწარი მონაცემებით, ალკოჰოლი ფალსიფიცირებული აღმოჩნდა, ქმარი და ცოლი გარდაიცვალნენ ერთი დღის შუალედით. მათი ვაჟიშვილი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება სანქტ-პეტერბურგში ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

* * *

ბრიტანელი მეცნიერები მოითხოვენ მეფე რიჩარდ მესამის კათოლიკური წესით დაკრძალვას

ამას, კერძოდ, დაჟინებით მოითხოვს ცნობილი ისტორიკოსი ჯონ ეშდაუნ-ჰილი, რომლის გამოკვლევებთაც აღმოაჩინეს მონარქის საფლავი. „ნუ დავივიწყებთ, ის რომ არ დაღუპულიყო ბრძოლაში ბოსვორტთან, ინგლისური ეკლესია, შეიძლება, არასოდეს შექმნილიყო“, – აღნიშნა ეშდაუნ-ჰილმა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ განსჯა

სტრასბურგის სასამართლო წალეკა საქართველოდან შესულმა საჩივრებმა, მაგრამ არც ერთი მოსამართლე არ დასჯილა

ევროპულ სასამართლოში (სტრასბურგი, ჰააგა), ათასობით საქართველოს მოქალაქის საჩივარია შესული, მოსარჩელეები აპროტესტებენ მათ მიმართ გამოტანილ უკანონო განაჩენებს. ევროსასამართლოები უმეტეს შემთხვევაში ქართული მართლმსაჯულების გადაწყვეტილებებს ცვლიდნენ და სახელმწიფოს ავალებდნენ დაზარალებულთათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ფინანსურ ანაზღაურებას. თანხები საკმაოდ მაღალი იყო. ფული გაიცემოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მიუხედავად ამისა, არც ერთი მოსამართლე, არც სამსახურებრივად და არც ფინანსურად, არ დაუსჯიათ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საზოგადოებაში ჩნდებოდა ეჭვი, რომ ყველა უკანონო განაჩენი იყო პოლიტიკური ნება და არა მართლმსაჯულების ხარვეზი.

ამის გამო ახალმა ხელისუფლებამ და იუსტიციის სამინისტრომ მიიღეს გადაწყვეტილება, შეიქმნას მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისია, რომელიც ყველა იმ პირის საქმეს განიხილავს, ვინც თავს უკანონობის მსხვერპლად მიიჩნევს.

კომისია მუშაობას შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ დაიწყებს. ის შეისწავლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულთა საქმეებს. კომისია განიხილავს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებსაც, იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება 100 ათას ლარს აღემატება. ამის შემდეგ რაც შემოსულ საჩივარს დასაშვებად მიიჩნევს, კომისია არსებითად განიხილავს მას, რათა დაადგინოს, იყო თუ არა იქ მართლმსაჯულების ხარვეზები. მისი დადასტურების შემთხვევაში, კომისიის დასკვნის განაჩენს უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი პალატა გადახედავს.

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განმარტებით, საქართველოს ციხეებში „ვარდების“ რევოლუციის შემდეგ, ათეულ ათასობით ადამიანი მოხვდა მართლმსაჯულების ხარვეზების გამო. ბევრი დღესაც იხდის სასჯელს. ადამიანები გვეკითხებიან, თუ რატომ არიან პატიმრობაში და ვერ ვუპასუხებთ, — ამბობს მინისტრი. მისივე განცხადებით, კომისია 2004-12 წლებში გამოტანილ უკანონო განჩინებებს შეისწავლის.

კომისიაში 15 მოსამართლე იქნება. აქედან 9 სისხლის სამართლის საქმეებს შეისწავლის, 3 — სამოქალაქოს, 3-იც — ადმინისტრაციულს.

როგორც იუსტიციის სამინისტროში განმარტავენ, კომისიის დასკვნა სასამართლოს განაჩენში ცვლილებებს ვერ შეიტანს, მაგრამ ის აუცილებლად გადაეგზავნება სასამართლოს. გადაიხედება იმათი საქმეებიც, რომელთაც პოლიტიკური პატიმრის, ან დევნილის სტატუსი მიენიჭათ.

მუდამ უკმაყოფილოები

უმცირესობამ ხომ ჯერ სასამართლოების შესახებ კანონპროექტზე ატეხა ვაიუშველებელი, ის მინაშვილმა და კუბლაშვილმა სასამართლოზე ზეწოლისა და მოსამართლეების დამოუკიდებლობის წართმევის მცდელობად მონათლეს. ახლა ამ კომისიის შექმნის იდეასაც დაუპირისპირდნენ.

ორიოდე დღის წინათ იუსტიციის მინისტრთან შეხვედრის შემდეგ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კომისიის შექმნა სასამართლოს დამოუკიდებლობის შეზღუდვა და მოსამართლეებზე ზეწოლის მცდელობაა. კუბლაშვილმა ისიც განაცხადა, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და ის რაღაც კომისიამ არ უნდა შეისწავლოს და აკონტროლოს. თავის „შეფის“ მოსაზრებას იზიარებენ მოქმედი მოსამართლეების დიდი ნაწილი და, რასაკვირველია, „ნაცების“ ელიტა.

ექსპერტის მოსაზრება

ექსპერტთა განმარტებით, საპარლამენტო უმცირესობისა და კუბლაშვილის უწყების გაღიზიანება მთელი რიგი გარემოებებითაა გამოწვეული. პირველი ის, რომ მოსამართლეებს ეშინიათ თავიანთი ზოგჯერ ხარვეზებით განხორციელებული მართლმსაჯულებისა. როდესაც კომისია მუშაობას დაიწყებს და პირველ რიგში, ალბათ, იმ საქმეების შესწავლას დაიწყებს, რომლებიც ევროსასამართლოებმა უკან დააბრუნეს ხარვეზების გამო, ხოლო საქართველოს სერიოზული ფინანსური სანქციები დააკისრეს დაზარალებულთა სასარგებლოდ, უეჭველად დადგება უკანონო განჩინების გამომტან მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხი. როდესაც ეს მოხდება, ბევრი მათგანი ხელს გაიშვერს შემკვეთისკენ — კუბლაშვილისკენ. როდესაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მიაკითხავენ, ისიც იძულებული გახდება, მისი დამკვეთებიც დაასახელოს. სწორედ ეს აშინებთ და აღელვებთ „ნაციონალური“ მოძრაობის ლიდერებს.

გამოდის, რომ შეკრულია წრე, რომელიც კომისიამ უნდა დაშალოს და გამოააშკარაოს. ეს არის შფოთის მიზეზი, თორემ დემოკრატიული პრინციპები და სასამართლოს დამოუკიდებლობა „ვარდოსნებს“ არც წინათ აწუხებდათ და არც ახლა, ასკვნიან ექსპერტები.

ზაზა ბილიხოძე

◎ ისტორიის გაკვეთილები

მეფე სასამართლოში?!

პარლამენტი ინგლისში XII საუკუნეში ჩამოყალიბდა. ამის შემდეგ, მეფეს პარლამენტის თანხმობის გარეშე არ შეეძლო, მოსახლეობისთვის დაეწესებინა ახალი, ან გაედიდებინა ძველი გადასახადი. მეფე და პარლამენტი ამ პირობას უკანასკნელი ტიუდორის ელიზაბეთ I-ის მმართველობის ბოლომდე (1603) ასრულებდნენ, მაგრამ ინგლისში სტიუარტთა დინასტიის გამეფის შემდეგ, საგადასახადო პოლიტიკის გამო უთანხმოება მეფესა და პარლამენტს შორის სულ უფრო ღრმავდებოდა. ჯეიმზ I-ისა და მისი შვილის ჩარლზ I-ის განუსაზღვრელ ხელგაშლილობას და ფუქსავატურ ცხოვრებას სამეფო ხაზინა ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ, მეფეს საჭირო ფულის მიღება შეეძლო მხოლოდ კანონის დარღვევით — პარლამენტის დაუკითხავად ახალი გადასახადის შემოღებით. ჩარლზ I ასეც მოიქცა: 1634 წელს, უპარლამენტო მმართველობის დროს, მან არასწორად აღადგინა ინგლისში პარლამენტის დაარსებამდე არსებული ე. წ. „სახომალდო გადასახადი“. მეფე და სასახლის კამარილია მიზანს მიღწეულად თვლიდნენ, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდნენ ხალხი და ოპოზიცია.

განსაკუთრებით დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ჯონ ჰემპდენის გასამართლებამ, რომელმაც უარი განაცხადა ამ გადასახადის გადახდაზე. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი უმდიდრესი მემამულე იყო და 20 შილინგის გადახდა მისთვის, ცხადია, ძნელი არ იყო, ინგლისის კონსტიტუციური ტრადიციების, საკუთრებისა და პიროვნების უფლებათა დაცვამ გადაადგმევინა მას ეს ნაბიჯი. საქმე ისე გამწვავდა, რომ მეფე იძულებული გახდა, დათანხმებულიყო სასამართლოში საქმის გარჩევაზე.

ჰემპდენი გაასამართლა ხაზინის სასამართლომ და დამნაშავედ ცნო (12 მოსამართლიდან 7 მისი წინააღმდეგი იყო, 5 — მომხრე). ასეთი გადაწყვეტილების მიუხედავად, აზნაურმა ჰემპდენმა მორალური გამარჯვება მოიპოვა: მან მეფე აიძულა, სასამართლოში განეხილა საკითხი იმ დროს, როდესაც ინგლისის მეფე აბსოლუტური ძალაუფლების მქონე მონარქი იყო.

დღევანდელ საქართველოში კი, შემთხვევით გადიდკაცებული, გოგლიმოგლით გაზრდილი ბიჭები, უარს აცხადებენ პოლიციასა და პროკურატურაში მოწმედ მისვლაზე და გამომძიებლებსა და პროკურორებს თავისთან იბარებენ! თუმცა, ახია მაგათზე. ნათქვამია, რასაც დასთეს, იმას მოიმკიო. მავანის ხუშტურების უსიტყვო შემსრულებელი სხვას რას უნდა ელოდე.

ვაჟა თვალავაძე

◎ გამოფენა

როცა იარაღს არ ისვრიან...

თითო-ოროლა შემორჩენილი უნიკალური საბრძოლო აღჭურვილობა — იარაღი, მათ შორის ფარი, ჩაჩქანი, ხმალი, ნაჯახი, დამბაჩა, ჯაჭვის პერანგი, უნაგირი, ასევე ფარდაგები გამოიფინა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში. ვერნისაჟს სახელიც საუცხოო შეურჩიეს ორგანიზატორებმა — „ტრადიციების გაცოცხლება“.

საუცხოო გამოფენა ისტორიკოსის გურამ გაბაშვილის, მუსიკოსის **თამაზ ჯალაღონიას,** ხალხური ხელოვნების ოსტატების **არნოლდ** და **ლევან თეთრუაშვილების,** მთარგმნელის **ბექა ჭახელიძის** მეცადინეობითა და რუდუნებით შეიქმნა. აუცილებლად აღვნიშნავთ, რომ უნიკალურ, ანტიკვარულ ნივთთა გვერდით მნახველთა ყურადღება ასევე მიიქცია ორიგინალურმა, ავტორისეულმა ნამუშევრებმა, რომლებიც ამ დიდებული გამოფენის ავტორები ბრძანდებიან.

ამ არაჩვეულებრივი სანახაობის ხიბლი, ცხადია, ისიც გახლავთ, რომ იარაღი ოდითგანვე — არა მარტო ქართველი, კავკასიელი, ან, ვთქვათ, დედამიწის რომელიც გნებავთ კუთხის კაცის თავდაცვის საშუალება იყო — იგი ეროვნული სამოსელის მშვენება, თავის მოწონების საშუალება მუდამ გახლდათ და, ალბათ, ასეთად დარჩება კიდეც. მათ შორის ბევრი რამ მოძველდა, მისი წინა ნიმუში კანტიკუნტად თუ შემორჩა, ამიტომაც ერის ისტორიული მეხსიერების სამარადჟამო ესტაფეტის უწყვეტობისთვის ასეთ გარჯას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მადლობას კი გამოფენის მნახველებთან ერთად ჩვენი მორიდებული პუბლიკაციით გამოვთქვამთ.

ოთარ ტურაბელიძე.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ტყვიის სროლა

მახვილი თვალით, რკინის ნერვებით

ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში თბილისის თასი გათამაშდა, რომელშიც საქართველოს საუკეთესო მსროლელები მონაწილეობდნენ.

ვაჟთა შორის ჩემპიონის ტიტული ლევან ქადაგიძემ მოიპოვა, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპზე 563 ქულა დააგროვა, ფინალში კი – 95,3. მეორე ადგილზე შოთა გირგვლიანი გავიდა, მესამეზე – ბესარიონ სირაძე.

გოგონათა შორის ჩემპიონის ტიტული ქუთაისელმა ლიზი კილაძემ მოიპოვა 471,3 ქულით. მეორე ადგილზე თამილა ასათიანი გავიდა, მესამეზე – ემილა სიმონიანი.

გამარჯვებულები და პრიზიორები საქართველოს ტყვიის სროლის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბექაურმა, ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა ნინო სალუქვაძემ და მსოფლიოს ჩემპიონმა სასტენდო სროლაში თამაზ იმნაიშვილმა დააჯილდოვეს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

დეშამის რჩეულნი

საძართველოს ეროვნული ნაკრები 18 მარტს პარიზში შეიკრიბა და საფრანგეთთან მატჩისთვის ადგილზე ემზადება.

კვიპროსიდან პირდაპირ პარიზში ჩავიდა ნაკრების თავკაცი თემურ ქეცბაია. ჩვენი ეროვნული გუნდი ყოველდღიურ ვარჯიშებს პარიზშივე მართავს, მატჩის წინა დღეს კი „სტად დე ფრანსზე“ ივარჯიშებს.

ჩვენი მომავალი მეტოქის მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშამმა უკვე გამოაქვეყნა თავისი გუნდის შემადგენლობა.

მეკარეები: მიქაელ ლანდრო („ბასტია“, საფრანგეთი), უგო ლორისი („ტოტენჰემი“, ინგლისი), სტივ მანდანდა („მარსელი“, საფრანგეთი)

მცველები: გაელ კლიში („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი), მატიუ დებუში, მაპუ იანგამბივა (ორივე „ნიუკასლი“, ინგლისი), პატრის ევრა („მანჩესტერ იუნაიტედი“, ინგლისი), ლორენ კოშიელნი, ბაკარი სანია (ორივე „არსენალი“, ინგლისი), ადილ რამი („ვალენსია“, ესპანეთი), მამადუ საჰო, კრისტოფ ჟალე (ორივე „პსჟ“, საფრანგეთი), რაფაელ ვარანი („რეალი“, ესპანეთი)

ნახევარმცველები: იოან კაბაიე, მუსა სისოკო (ორივე „ნიუკასლი“, ინგლისი), ეტიენ კაპუიე („ტულუზა“, საფრანგეთი), მაქსიმ გონალონი („ლიონი“, საფრანგეთი), ბლეიზ მატიუიდი („პსჟ“, საფრანგეთი), მატიუ ვალბუენა („მარსელი“, საფრანგეთი), დიმიტრი პაიე („ლილი“, საფრანგეთი), პოლ პოგბა („იუვენტუსი“, იტალია)

თავდამსხმელები: რომაინ ალესანდრინი („რენი“, საფრანგეთი), ქარიმ ბენზემა („რეალი“, ესპანეთი), ოლივიე ჟირუ („არსენალი“, ინგლისი), ბაფეტიმბი გომისი („ლიონი“, საფრანგეთი), ჯერემი მენეზი („პსჟ“, საფრანგეთი), ფრანკ რიბერი („ბაიერნი“, გერმანია), ლოიკ რემი („ნიუკასლი“, ინგლისი)

საქართველოსა და საფრანგეთის ნაკრებები ერთმანეთს მესამედ ხვდებიან. „ჯვაროსნები“ საფრანგეთში მეორედ თამაშობენ. პირველი მატჩი 2007 წლის 6 ივნისს ოსერში გაიმართა და ნასრის ერთადერთი გოლით მასპინძლებმა 1:0 გაიმარჯვეს.

დღესდღეობით საქართველოს ნაკრები ფიფა-კოკა-კოლას რეიტინგში 69-ე პოზიციაზეა, „მამლები“ კი ამავე რეიტინგში მე-18 პოზიციას იკავებენ.

გიორგი შოთაძე

◎ ჭადრაკი

მონაწილეთა ვინაობაც მალე გაირკვევა

ფიდემ (ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია) თავის საიტზე გამოაქვეყნა ქალთა გრან-პრის ექვსივე ეტაპის თარიღები და ადგილები. ერთ-ერთი 2014 წელს თბილისში გაიმართება. მონაწილეთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია,

ფიდეს გრან-პრის ეტაპების განრიგი კი ასეთია:

2013 წელი

2-14 მაისი, ჟენევა (შვეიცარია);

15-29 ივნისი, დილიჟანი (სომხეთი);

17 სექტემბერი – 1 ოქტომბერი, ტაშკენტი (უზბეკეთი).

2014 წელი

2-16 მაისი, ხანტი-მანსიისკი (რუსეთი);

18 ივნისი – 2 ივლისი, თბილისი (საქართველო);

24 აგვისტო – 7 სექტემბერი, ერდენეტი (მონღოლეთი).

ლაშა დიდია

◎ კრივი

მასპინძელთა უპირატესობით

წლეულს ჰოლანდიური როტერდამი 1995-1996 წლებში დაბადებულ მოკრივეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. აღნიშნული შეჯიბრებისთვის ნაკრები გუნდის კანდიდატების შერჩევას მიეძღვნა ამ ასაკში საქართველოს პირველობა, რომელსაც ქუთაისმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა 10 წონით კატეგორიაში. ყველაზე მეტი ფინალისტი (9) სწორედ რიონისპირელებს ჰყავდათ, რომელთაგან ხუთი ჩემპიონი გახდა. ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კუკური შავგულიძემ განაცხადა, რომ გუნდის წევრობის კანდიდატები ევროპის პირველობამდე სამ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ და როტერდამში წამსვლელთა ვინაობაც მერე გაირკვევა. კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი დავით კვაჭაძე ქუთაისის რინგზე გამოსულთა ფიზიკური და ტექნიკური მომზადებით უკმაყოფილო დარჩა. **„პერსპექტიული მოკრივეები კი გვყავს, მაგრამ სასურველ კონდიციებამდე ჯერ ბევრი გარჯა დასჭირდებათ. საქართველოს ჩემპიონობით ნაკრებში ადგილს ვერავინ დაიბევებს, ჩემპიონატზე ის სპორტსმენები წავლენ, რომლებიც უკეთ მოემზადებიან“,** – აღნიშნა ფედერაციის პრეზიდენტმა. **„ქართულ კრივს მდიდარი ტრადიციები ჰქონდა და ისინი, რაც შეიძლება, მალე უნდა აღვადგინოთ“,** – თქვა სპორტის მინისტრის მოადგილემ თამაზ თევზაძემ, რომელიც ქუთაისში ახალგაზრდა მოკრივეთა შეჯიბრებას დაესწრო.

ახლა კი გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაუწყებთ:

49 კგ. 1. აბას ალეკპეროვი (თბილისი), 2. ლაშა კობახიძე (გორი),

3. გიორგი ხაჩიძე (რუსთავი), სანდრო საპანაძე (ქუთაისი);

52 კგ. 1. ლევან კლდიაშვილი (ქუთაისი), 2. მიხეილ ჭინჭარაული (თბილისი), 3. ავთო თევდორაძე (გორი), საბირ ქირიმოვი (თბილისი);

56 კგ. 1. ზაურ ხურციძე (ქუთაისი), 2. ლაშა გურული (რუსთავი), 3. ლუკა ლემონჯავა (ფოთი), გიორგი ცისკარიშვილი (თბილისი);

60 კგ. 1. ამირან მარგველაშვილი (ქუთაისი), 2. ალექსანდრე ლურსმანიშვილი (გორი), 3. უჩა ყაველაშვილი (გორი), აჩიკო ტურავა (ფოთი);

64 კგ. 1. ნუკრი ადამია (ფოთი), 2. ჯემალ შალამბერიძე (ქუთაისი), 3. არჩილ ტეტუნაშვილი (თბილისი), ომარ მახათაძე (ჭიათურა);

69 კგ. 1. კონსტანტინე ხვისტანი (ქუთაისი), 2. ირაკლი ალანიძე, 3. ბექა დანელია (ორივე-ფოთი), თევდორე ყანდიაშვილი (გურჯაანი);

75 კგ. 1. ირაკლი ქათამაძე, 2. გიორგი გიორგაძე (ორივე-ქუთაისი), 3. დავით ლომაძე (ფოთი), პავლე გოგოლაძე (ჭიათურა);

81 კგ. 1. ვასილ წიწილაშვილი (ფოთი), 2. გიგა ბუზალაძე (გორი), 3. რევაზ ტყეშელაშვილი (რუსთავი), ლევან დეისაძე (ტყიბული);

91 კგ. 1. გიორგი ურჯუმელაშვილი (გორი), 2. გიორგი აბესაძე (ქუთაისი), 3. გიორგი სალაძე (ზესტაფონი), ლევან ხარძიანი (გარდაბანი);

+91 კგ. 1. დემურ მაჭარაშვილი (რუსთავი), 2. ლაშა ახალაძე (ქუთაისი), 3. ალექსანდრე პეტროსიანი (თბილისი), არგიშდი ელიზბარიანი (ახალქალაქი).

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

ანტალიას ვერ ელევა

გასულ უქმეებზე, როგორც გაუწყეთ, თბილისელმა ჩოგბურთელმა სოფიო შაფათავამ თურქულ ანტალიაში წყვილთა პაექრობისას მე-2 ადგილი დაიკავა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ იგი ანტალიაშივე დარჩა და ახალ ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ჩაებმება. მასთან ერთად იბრძოლებენ მთავარი პრიზისთვის ოქსანა კალაშნიკოვა და ეკატერინე გორგოძე. შაფათავა პირველ ნომრადაა განთესილი. კალაშნიკოვა მე-5 ნომერია, წყვილებში კი ქსენია პალკინასთან (ყირგიზეთი) ერთად პირველია. მას ბულგარელთა (ბორისლავა ბოტუშაროვა, ვივიან ზლატანოვა) დუეტი გაუწევს მეტოქეობას. მესამე ნომრად განთესილი შაფათავა – გორგოძის ტანდემი ნატალია კოსტიჩსა (სერბეთი) და მონიკუ ზუურს (ჰოლანდია) შეხვდება.

გივი გაგუა

◎ კალათბურთი

ევრობასკეტ 2013-ის ბილეთების გაყიდვა დაიწყო

გუშინ ევრობასკეტ 2013-ის ბილეთების გაყიდვა დაიწყო. ბილეთების შეძენა შესაძლებელია ვებ-გვერდზე: http://www..ventim.si/si/, ასევე სლოვენიის მთელი მასშტაბით მდებარე ბენზოგასამართ სადგურებსა და ლიუბლიანაში, მარიბორსა და ცელიეში სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები I ჯგუფურ ეტაპზე ცელიეში ითამაშებს.

პირველ კვირაში გულშემატკივრებს შესაძლებლობა ექნებათ შეიძინონ მხოლოდ ფინალის, მესამე ადგილისთვის მატჩისა და ნახევარფინალების ბილეთები. 25 მარტიდან გასაყიდად გამოიტანენ მეოთხედფინალებისა და V-VIII ადგილებისთვის მატჩების, ხოლო 2 აპრილიდან – პირველი და მეორე ჯგუფური ეტაპების ბილეთებს.

ონლაინ-მყიდველები თანხის გადახდის შემდეგ მიიღებენ ვაუჩერს, რომლის წარდგენა 1 ივლისიდან იმ არენის სალაროებში შეეძლებათ, სადაც მატჩი უნდა გაიმართოს. ვაუჩერების სანაცვლოდ გულშემატკივრები მატჩზე დასასწრებ ბილეთებს მიიღებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

ორგანიზატორთა მიერ დაწესებული ფასები ყოველი რაუნდის ყველა კატეგორიის ბილეთებზე:

ფასები ევროებში	I ეტაპი	II ეტაპი	1/4 ფინალი	1/2 ფინალი	V-VIII ადგილები	V-VII ადგილები	III ადგილი	ფინალი
I კატეგორია	35 €	55 €	75€	120€	20€	25€	150€	180€
II კატეგორია	25 €	45 €	60€	90€	18€	20€	120€	150€
III კატეგორია	15 €	35 €	45€	70€	15€	18€	100€	120€
IV კატეგორია		30 €	35€	60€	13€	15€	70€	80€
V კატეგორია		25 €	30€	40€	10€	13€	50€	60€
VI კატეგორია		20 €	25€	30€	7€	8€	35€	45€
VII კატეგორია		17€	19€	25€	4€	5€	30€	35€

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ვითარება

მომაწოდე ჭიქა წყალი...



სასმელი წყლის უქონლობამ შეაწუხა ნახევარი თბილისის მოსახლეობა. დედაქალაქში წყალმომარაგება აგერ უკვე რამდენიმე ხანია კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ხელშია და თუ რამე შეფერხებაა, ეს, უწინარესად მისი ტექნიკური სამსახურის საპატრონოა.

წყლით მომარაგება და, რაც მთავარია, მისი ხარისხი, ისევ კომპანიის კომპეტენციაშია, და ამასთან დაკავშირებით, ერთი შენიშვნა გვაქვს: **როცა კი ოფიციალურად გამოქვეყნებული ინფორმაციით ვიცით, რომ თბილისის ცენტრის რამდენიმე რაიონი, იმის გამო, რომ საბურთალოს უბანში ცენტრალური წყალსადენის მილი დაზიანდა, წყალმომარაგების გარეშე დარჩა (მათ შორისაა ვაკე, ვერა, სოლოლაკი, მთაწმინდა, თითქმის მთელი საბურთალოს უბანი და სხვ.), ოპერატიული ცნობის მიღება ყველა მოქალაქეს უნდა შეეძლოს. ამას იმის გამო ვამბობთ, რომ მთელი დღის განმავლობაში „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ცხელ ხაზზე დაკავშირება ვერ მოვახერხეთ.** მკითხველთა ყურადღებას ამ ფაქტზე იმის გამო ვამახვილებთ, რომ როცა ერთი კომპანია ბაზრის უპირობო მონოპოლისტია, კეთილი უნდა ინებოს და იმდენი სატელეფონო ოპერატორი ჰყავდეს, რომ საზოგადოება დროულად და სრულად იყოს ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ როდისაა მოსალოდნელი ექსტრემალური ვითარების გამოსწორება.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ინფორმაცია

გახმაურებული საქმის გამოძიებას პროკურატურა გააგრძელებს

რობაძიძის, გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, 26 მაისის, 7 ნოემბრისა და ტელეკომპანია „იმედის“ საქმეებიდან რამდენიმეს გამოძიებას თბილისის პროკურატურა გააგრძელებს.

ამის შესახებ თბილისის ახალმა პროკურორმა მაია მწარიაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, ეს ის საქმეებია, რომლებსაც მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი მისი ხელმძღვანელობით იძიებდა. თუმცა, ამ ეტაპზე მაია მწარიაშვილი ვერ აკონკრეტებს აღნიშნული საქმეებიდან, რომელი გადავა ქვემდებარების წესით თბილისის პროკურატურაში.

მიმდინარეობს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების საზღვრების დაზუსტება

პარლამენტი „ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანას აპირებს.

ცვლილების თანახმად, კანონში ჯავახეთის დაცული ტერიტორიების საზღვრები დაზუსტდება და დემარკაციის შედეგები აისახება. საზღვრების დემარკაციისა და ადგილზე გამიჯვნის შედეგად, ჯავახეთის დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 924,42

ჰექტარით მცირდება. ფართობის შემცირება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დემარკაციის დროს ბევრი ნაკვეთი კერძო საკუთრებაში აღმოჩნდა, მიწის რეფორმის განხორციელების შემდგომ. პროექტის თანახმად, ხდება ტერიტორიის ჩანაცვლებაც.

კერძოდ, 17,5 ჰა ფართობი ამორიცხული იქნება ჯავახეთის ეროვნული პარკიდან და მის ნაცვლად 17,9 ჰექტარი ჩაირიცხება. ფართობის ჩანაცვლება გამოწვეულია მარაბდა-კარწახის სარკინიგზო ხაზის მშენებლობით. კანონპროექტით ასევე განისაზღვრა იმ სოფლების ჩამონათვალი, რომლებიც წარმოადგენენ ჯავახეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიას, სადაც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მიერ გამოყოფილი გრანტიდან ადგილობრივი მოსახლეობისთვის განსაზღვრულია გარკვეული სოციალური პროექტების განხორციელება.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისა და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტებმა კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას მხარი დაუჭირეს.

ინტერპრესი

◎ ჩვენი კარაბადინი

ანტიბიოტიკების ეპოქის დასასრული?

ცნობილი ანტიბიოტიკების უმრავლესობისადმი მდგრადი ბაქტერიების გავრცელება კაცობრიობისთვის არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე გლობალური დათბობა, მზეზე სუპერქარიშხლები, დედამიწასთან ასტეროიდების შეჯახება და სხვა მსგავსი კატასტროფები — ესაა ექსპერტთა მიერ ბოლო დროს გამოთქმული აზრი, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მასმედიასა და სოციალურ ქსელებში.

ინგლისის ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის, ქვეყნის მთავარი ექიმის სალი დევისის თქმით, **ბაქტერიების უმრავლესობა თანამედროვე სამედიცინო პრეპარატის მიმართ იმუნიტეტს იძენენ, ახალი ანტიბიოტიკები კი, უბრალოდ, არა გვაქვს.** საპარლამენტო კომისიის წინაშე გამოსვლისას სალი დევისმა პრობლემის მასშტაბთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა — მისი განცხადებით **უახლოეს მომავალში მარტივი ქირურგიული ოპერაციაც კი პაციენტის სიცოცხლისთვის შესაძლოა დიდად საშიში გახდეს.**

— სავსებით ცხადია, რომ გლობალური დათბობა — ეს არაა მთავარი საფრთხე, რომელიც კაცობრიობას ემუქრება, — აღნიშნა დოქტორმა დევისმა. — აპოკალიფსი, შესაძლოა, 20 წლის შემდეგ დადგეს, ხოლო ხვალ და ზეგ გასაკეთებელი მარტივი ოპერაცია კი პაციენტის სიკვდილით იმის გამო დასრულდეს, რომ ჩვენ, უბრალოდ, ანტიბიოტიკები არ გვექნება.

ანტიბიოტიკები თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ ძირითად მიღწევად ითვლება. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ბაქტერიები სწრაფად ვითარდებიან და მათ ეჩვევიან (მაგალითისთვის შეიძლება ტუბერკულოზის ჩხირი ავიღოთ: ფლემინგის მიერ გამოგონილმა პენიცილინმა იმის იმედი გააჩინა, რომ ეს საშინელი სნეულება საბოლოოდ დავამარცხეთ, არადა მრავალი წლის შემდეგ ავადმყოფობის გამომწვევი ჩხირი თავს მშვენივრად გრძნობს — მრვლდება კიდეც! — პენიცილინზე რამდენიმე ასეულჯერ ძლიერ ანტიბიოტიკურ გარემოშიც კი!). **ამჟამად მხოლოდ ერთ ანტიბიოტიკიღაა დარჩენილი, რომელსაც გონორეის დაძლევა შეუძლია.**

— ეს მთელ მსოფლიოში ანტიბიოტიკური პრეპარატების არაეფექტიანი გამოყენებით გამოწვეული სერიოზული პრობლემაა. ჩვენ თავად „ვზრდით“ რეზისტენტულ ინფექციებს, რადგან ზედმეტად ვიყენებთ სტანდარტულ ანტიბიოტიკებს, — განაგრძობს ექიმი.

პრობლემის გადაჭრის შესაძლო მეთოდს დოქტორი დევისი მარტში, ოფიციალურ ანგარიშში გამოაქვეყნებს.

ამასთან დაკავშირებით მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია აცხადებს, რომ **თუ გადამჭრელ ზომებს არ მივმართავთ, ანტიბიოტიკების ერა შესაძლოა დასრულდეს.** აბერდინის (შოტლანდია) უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის ჰიუ პენინგტონის თქმით, წამლებისადმი ბაქტერიების გაზრდილი წინააღმდეგობა უაღრესად სერიოზული პრობლემაა.

— ზოგიერთნი საზღვარგარეთ სამკურნალოდ მიდიან, ზოგიერთნი სექს-ტურისტებად მოგზაურობენ და შინ გონორეით დავაადებულნი ბრუნდებიან, რაც, რეზისტენტული შტამების მხრივ დიდ პრობლემას წარმოადგენს. გარდა ამისა, ბევრ ქვეყანაში კიდევ არის ტუბერკულოზი, რაც ასევე უდიდესი საფრთხეა, — აცხადებს სპეციალისტი და დასძენს: — **რაიმე პანაცეის გაჩენის იმედი არ უნდა გვქონდეს, ახალი ანტიბიოტიკები, უბრალოდ, აღარ დარჩა.**

თამარ გოგიაშვილი

ახალი აზრი პროსტატიტის მკურნალობაზე

წინამდებარე ჯირკვალი იმდენად მნიშვნელოვანი ორგანოა მამაკაცის ორგანიზმისა, რომ ზოგიერთები მას „მეორე გულსაც“ უწოდებენ.

და თუ ეს „მამაკაცის გული“ გვიმტკიცებს, ჩვენს გვერდითაა მავიტი — მოწყობილობა, რომელიც გამიზნულია ქრონიკული პროსტატიტის მკურნალობისთვის, მათ შორის წინამდებარე ჯირკვლის ადენომის, პროსტატოვეზიკულიტის, ურეტროპროსტატის, კოპულატიური ფუნქციების დარღვევების ფონზე.



რა არის მავიტი? მაშ ასე, როდესაც იგრძნო დისკომფორტი, მამაკაცმა მიმართა სპეციალისტს, და მან მას არასანუგეშო დიაგნოზი დაუსვა. მამაკაცს განზრახული აქვს იმკურნალოს, მაგრამ არ უნდა, რომ პროცედურების დროს ვინმე გარეშე პირი ესწრებოდეს. არის გამოსავალი — ეს არის მავიტი — დღეისათვის ერთადერთი ფიზიოთერაპევტული მოწყობილობა წინამდებარე ჯირკვლის მკურნალობისთვის, რომელიც მასზე სამი ფიზიკური ფაქტორით (სითბოთი, მაგნიტური ველით და ვიბრომასაჟით) მოქმედებს ერთდროულად. ფიზიოთერაპიის მეთოდების ასეთი კომბინირებული გამოყენება ყველაზე შედეგიანია, იგი გვაძლევს შესაძლებლობას მნიშვნელოვნად შევამციროთ ან სულაც დავაღწიოთ თავი ტკივილებს შორისში, მოშარდვის ხშირ და მკვეთრ სურვილს, შარდის ბუშტის არასრულ დაცლას, სასქესო ფუნქციების დარღვევას და ქრონიკული პროსტატიტისა და პროსტატის ადენომის სხვა სიმპტომებს. მავიტითა და სამკურნალო პრეპარატებით კომბინირებული მკურნალობის დროს ხელსაწყო აძლიერებს იმ წამლების სამკურნალო თავისებურებებს, რომლებიც უფრო იოლად აითვისება და მოქმედებს უფრო სწრაფად. მავიტი მოქმედებს ორგანიზმზე მსუბუქად და ფრთხილად, საშუალებას იძლევა ვუმკურნალოთ იმ ავადმყოფებსაც, ვისთვისაც საწინააღმდეგო მაჩვენებელია მკურნალობის ტრადიციული ხერხები.

რა არის იგი? მავიტი შედგება კვების წყაროსა და განსაკუთრებული ფორმის მსუბუქი აპლიკატორებისგან, რომლებიც სწორ ნაწლავში შეჰყავთ. მავიტი არის მარტივი და ექსპლუატაციისთვის მოსახერხებელი. მისი მომსახურების ვადა — სულ ცოტა 5 წელია.

როგორია მკურნალობის კურსი? ხორციელდება ერთი პროცედურა ყოველდღიურად 30 წუთის ხანგრძლივობით. მკურნალობის კურსი 7-9 პროცედურას მოიცავს. განმეორებითი კურსი ნებადართულია 2 თვის შემდეგ.

შეიძინეთ მავიტი და ელამედის სხვა ფიზიოხელსაწყოები საადგილმამულო ქსელში და გამოფენა-გაყიდვებზე!

მეუღლე გივი კეთილაძე, შვილები ნუნუკა, ბაჩა კეთილაძეები, და მზია ლორთქიფანიძე-ლობჟანიძისა ოჯახით, სიძეები დათო ქოჩიაშვილი, ლექსო გოლეთიანი, შვილიშვილები თათია მაისურაძე, გვანცა ომიაძე, გიორგი, ნინი ქოჩიაშვილები, დისწულები, მძისწულები ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ნანული ლორთქიფანიძე

პანაშვიდი 19, 20 III, 17 სთ. ბარნოვის ქ. №80ა, დაკრძალვა 21 III, 15 სთ. გამოსვენება ვერის სასაფლაოს ეკლესიიდან.

ეთერ ლორქიფანიძე, სერგო, რეზო, ვლადიმერ მესხები, მედიკო, როინ ჯაფარიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის

ნანული ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დედა ნუგეშა, მეუღლე ლუიზა, შვილები ნოშრევან, გიორგი, ძმა კოკა, ძმისწულები მაკა, ეკა, რძლები ნანა ლომთათიძე, ანა ხუციშვილი, შვილიშვილები, მძახლები, ნიკოლაიშვილები და ხუციშვილები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

იოსებ ნოშრევანის ძე ლომთათიძე

პანაშვიდი 21, 22 III, 17 სთ. მისამართი: დიღმის მასივი II კვ. მე-11 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-9 სართული, ბინა 76. გამოსვენება 23 III, 14 სთ. უნივერსიტეტის ქუჩა, საბურთალოს პანთეონის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრიდან.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ტესტი ქალებისთვის

ვინ არის თქვენი რჩეული?

უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს, რაც დაგეხმარებათ, უკეთ გაიგოთ თქვენი რჩეულის შესახებ.

1. ეშინია მას, მოიწყოს ექსპერიმენტები ჩაცმასთან დაკავშირებით და გამოიყურება ექსტრავაგანტურად?
ა) არა; ბ) დიახ.

2. ფილმის ყურების დროს შეუძლია ძლიერ აუჩუყდეს გული?
ა) დიახ; ბ) არა.

3. უყვარს მას ოცნება?
ა) დიახ; ბ) არა.

4. იშვიათად გიზიარებთ შეგრძნებებს, განცდებს, რომლებიც უჩნდება მუსიკის მოსმენის დროს?
ა) არა; ბ) დიახ.

5. ხშირად არის გაღიზიანებული და ცუდი განწყობილებით?
ა) არა; ბ) დიახ.

6. თუ არის გატაცებული სპორტის ექსტრემალური სახეობებით?
ა) დიახ; ბ) არა.

7. თუ აქვს ჩვევად, გიამბოთ თავისი არაჩვეულებრივი, უცნაური სიზმრების შესახებ?
ა) დიახ; ბ) არა.

8. უყვარს თქვენთვის ლექსების კითხვა, ან, იქნებ, თავადაც თხზავს ლექსებს?
ა) დიახ; ბ) არა.

9. თქვენს კავალერს იუმორის კარგი გრძნობა აქვს?
ა) დიახ; ბ) არა.

10. თუ ყოფილა, რომ თქვენი შეყვარებული გიამბობდეს ისეთი ქალაქებისა და ადგილების შესახებ, სადაც თავად არ ყოფილა, მაგრამ ოცნებობს იქ ყოფნაზე?
ა) დიახ; ბ) არა.

11. შეგიძლიათ უწოდოთ მას ინიციატივიანი?
ა) დიახ; ბ) არა.

12. როდესაც რაიმე ისტორიაზე გესაუბრებათ, თუ უყვარს მისი შელამაზება, არარსებული რამეების გამოგონება?
ა) დიახ; ბ) არა.

13. თუ ყოფილა შემთხვევა, რომ თქვენი გულისთვის გაუკეთებია ისეთი რამე, რასაც სულ არ ელოდებოდით?
ა) დიახ; ბ) არა.

14. როდესაც მოაქვს თქვენთან ყვავილები ან საჩუქრები, თუ აქცევს ყურადღებას შეფუთვას, მის რაც შეიძლება ორიგინალურად გაკეთებას?
ა) დიახ; ბ) არა.

15. თუ უყვარს ფერწერის ნაწარმოებების ან ფოტოგრაფიის გამოფენების დათვალიერება, თეატრი?
ა) დიახ; ბ) არა.

შეაჯამეთ ქულები და გააკეთეთ დასკვნები

ყოველ პასუხზე „ა“ დაიწერეთ 2 ქულა, პასუხზე „ბ“ – ქულები არ იწერება.

0-12 ქულა. ბრძენმა შენიშნა: „წარმოდგენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცოდნა“, თქვენს რჩეულს კი არასოდეს ჰყოფნის იგი. ასეთი მამაკაცები საწოლშიც შეიძლება დარჩნენ შემოქმედებითი უნარის უქონლებად.

12-22 ქულა. არ შეიძლება ითქვას, რომ თქვენს შეყვარებულს აქვს დაუდგრომელი ფანტაზია, მიუხედავად ამისა, თუ თითოეული თქვენგანი გარკვეულ ძალებს გამოიყენებს და გამოიჩენს მოთმინებას, მაშინ სავსებით შეგიძლიათ, შეამკოთ თქვენი ინტიმური ცხოვრება კაშკაშა ფერებით.

24-30 ქულა. ასეთ კავალრებს, როგორც წესი, უყვართ ფანტაზია და შეუძლიათ იმპროვიზაცია. სწორედ ისინი ამკობენ საწოლს ვარდის ფურცლებით და აბანავებენ შეყვარებულებს შამპანიურების აბაზანებში. მაგრამ დაიმახსოვრეთ ერთი ნიუანსი: თქვენმა რჩეულმა რომ მთლიანად გაამართლოს თქვენი მოლოდინი, თქვენ თავადაც უნდა დაივიწყოთ პასიურობა.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ყურადღებიანი გაზეთებიდან

მიენიჭება თუ არა სომხურ ენას რეგიონული ენის სტატუსი

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებით, სომხურისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭების საკითხი პარლამენტის დღის წესრიგში არ დგას.

– ეს არის საკითხი, რომელიც არ გასცილებია შიდა, საკრებულოში განხილვის ფარგლებს. პარლამენტში მასზე არ შემოსულა არანაირი ოფიციალური მოთხოვნა და არ იხილება. ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ მორიგი ნაბიჯი, რომ დაიწყოს ტირაჟირება ამ თემის და ხელოვნურად შექმნას ძალიან ნეგატიური ფონი, – ამბობს ბესელია.

„ახალი თაობა“

„საძართველო ომის ქარ-ცეცხლში გაეხვევა“

– **შეშფოთებულია** ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე, – აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაძაბულობა პიკს აღწევს. ბუნებრივია, ჩვენი ინტერესების სფეროა, როგორ გავლენას მოახდენს ეს ყველაფერი საქართველოზე. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ომის დაწყების შემთხვევაში, საქართველო ომის ქარ-ცეცხლში გაეხვევა. ჩვენს საზღვრებს ორივე მხრიდან მოაწყდებიან დევნილები, ეს ერთი. მეორე – ყოველი საპირისპირო მხარე შეეცდება, საქართველოზე კომუნიკაციების ტრანზიტი მოაწყოს. ეს იქნება ენერგომატარებლების ტრანზიტი თუ რკინიგზის ხაზი, რომელიც სომხეთს უკავშირდება.

„ალია“

მეპურეებისთვის გაზის გაძვირების მცდელობა აღკვეთილია

პურის მწარმოებლებმა „ყაზტრანსგაზისგან“ ბუნებრივი აირის ტარიფის გაძვირებასთან დაკავშირებით შეტყობინება მიიღეს. ამ ფაქტით შეშფოთებულმა მეპურეებმა განაცხადეს, რომ გაზის გაძვირება პირდაპირ პურის ფასზე იქონიებდა გავლენას. „ბიზნესრეზონანსის“ უშუალო ჩარევითა და ენერგეტიკის სამინისტროში მიღებული გადაწყვეტილებებით, ბუნებრივი აირი აღარ გაძვირდება. ამას ადასტურებს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ინფორმაცია

ხიდის დემონტაჟი გააპროტესტეს

წყალტუბოს რაიონის სოფელ ჟონეთში ადგილობრივმა მოსახლეობამ მშენებარე ხიდის დემონტაჟის გამო საპროტესტო აქცია გამართა.

ხიდით სოფელი ჟონეთი სოფელ მამაწმინდას უკავშირდებოდა. ხიდის მშენებლობა მდინარე რიონზე გასულ წელს დაიწყო, რათა მანქანებით მშენებარე „ნამახვანჰესთან“ ყოფილიყო კავშირი.

არსებული ინფორმაციით, იმის გამო, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებით „ნამახვანჰესი“ აღარ აშენდება, ხიდზეც შეწყდა სამშენებლო სამუშაოები და მისი დემონტაჟიც დაიწყო.

ადგილობრივების თქმით, სოფელ მამაწმინდასთან მხოლოდ ე.წ. საცალფეხო ხიდი არსებობს, რის გამოც მანქანებიც ვერ მოძრაობენ, მათ შორის სასწრაფო სამედიცინო მიმსახურება ვერ ხორციელდება.

ინტერპრესი

◎ ანეკდოტები

მარხვა იწყება. არ შეიძლება ხორცის ჭამა, სმა, ტყუილის თქმა, პირფერობა. დროა, საპარლამენტო უმცირესობა შვებულებაში გავიდეს.

* * *

ვატიკანს ანტისემიტიზმში ადანაშაულებენ: ახალარჩეული პაპი ისევ არ არის ებრაელი.

* * *

– **რატომ** არ გძინავს?
– ინტერნეტში ვარ შესული.
– მაგარია, მე კი სტუმრად ვარ.
– ვისთან?
– შენთან!
– ღმერთო ჩემო, დამავიწყდა...

* * *

ბევრი კაცი და ქალი არ ენდობა თავის მეორე ნახევარს – განსაკუთრებით ქვედას და, განსაკუთრებით, როცა ბევრს დალევენ.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-36
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com